ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 36 (1322) | 11-17 სექტემბერი, 1992 წ.

## საქართველოს სახალხო ფრონტის საარჩევნო პროგრამისათვის

ალე, ალბათ, გამოქვეყნდება საარჩევნო ბლოკის „11 ოქტომბერი“ საარჩევნო პროგრამა. ამ ბლოკის ერთ-ერთი წევრია საქართველოს სახალხო ფრონტი. ამ საერთო პროგრამის გამოქვეყნებამდე მკითხველს ვთავაზობ, ჩემი სიტყვებით გადმოცემულს, იმ ძირითად მიზნებს, რომლებსაც ისახავს საქართველოს სახალხო ფრონტის საარჩევნო განწირახულობა.

1. სსფ. თვლის, რომ საქართველო უნდა იყოს სპარლამენტო რესპუბლიკა. სახელმწიფოს მეთაური, ისევე როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური (რაგინდარა სტატუსითა და რაგინდარა სახელწოდებით) უნდა ინიშნებოდეს და გადაყენებოდეს მხოლოდ საქართველოს პარლამენტის მიერ. საქართველო რუსეთთან უნდა იყოს მხოლოდ თანასწორ, კეთილშეზობლურ ურთიერთობაში, ეკონომიკური ჩათვლით, მაგრამ რუსეთი არ უნდა იყოს აღჭურვილი მეტი უფლებამოსილებით საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერი სხვა ქვეყანა.

2. სსფ. თვლის, რომ არა მხოლოდ საქართველოს თავისუფლებისა და ღირსებისათვის, არამედ საქართველოს ფიზიკური გადარჩენისათვისაც აუცილებელია ჩვენი ქვეყნის სრული და საბოლოო გამოყოფა რუსეთისაგან, ანუ რუსეთთან ყველა სახის უთანასწორო დამოკიდებულებათა შეწყვეტა, რისთვისაც საჭიროა:

ა) გადასინჯოს პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში ყველა ის ხელშეკრულება, რომელიც რუსეთს და მის შეიარაღებულ ძალებს უფლებას აძლევს აკონტროლოს ვითარება საქართველოს რომელსამე წერტილში (ცხინვალის რეგიონში, აფხაზეთში და სხვაგან).

ბ) დადგინოს და გამოაცხადოს საქართველოდან რუსეთის შეიარაღებულ ძალთა გასვლის საკალდებულო უკანასკნელი ვადა. ამასთან, რასკვირველია საქართველომ უნდა დაიტოვოს უფლება რუსეთის შეიარაღებულ ძალთა ამა თუ იმ სახეობის მოწვევისა განსაზღვრული პირობებით და განსაზღვრული ვადით, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნის შეიარაღებული ძალების მოწვევისა, საჭიროების შემთხვევაში!

3. საქართველო ცნობს, აღიარებს და პრაქტიკულად აფორთიებს ჰელსინკის, ვენნა და პარიზის დოკუმენტების მოთხოვნებსა და რეკომენდაციებს პიროვნებისა და მინორიტეტული (უმცირესობითი) ჯგუფის ინტერესთა დაცვის სფეროში. საქართველოში მაცხოვრებელ ყველა ეროვნულ ჯგუფს ქართველების და აფხაზების გარდა, განურჩევლად ამ ჯგუფის სიდიდისა თუ სიმცირისა, გარანტირებული უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ კულტურული ავტონომია, ანუ დედაენაზე სწავლის, კულტურული განვითარების, საკუთარი წესით ცხოვრების მოწყობის უფლება და ა.შ. არამედ ყველა სხვა სახის ფუნქციური ავტონომიაც, ანუ საკუთარი ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა სახის წამოწყებათა ორგანიზაციის უფლება. ავტონომიის ერთადერთი სახეობა, რომლის უფლება მათ არა აქვთ, არის ტერიტორიული ავტონომია. გამორიცხულია საქართველოს ტერიტორიაზე ოსური ტერიტორიული ავტონომიის აღდგენა რაგინდარა ფორმით. გამორიცხულია ახალი ტერიტორიული ავტონომიების შექმნა. გამორიცხულია აგრეთვე, რომელიმე პიროვნების ან პიროვნებათა ჯგუფის დისკრიმინაცია ეროვნული ნიშნით.

აფხაზ ერს, რომელსაც დედამიწაზე სხვა სამშობლო არ მოეპოვება საქართველოს გარეთ და რომელიც, ქართველ ერთან ერთად, აფხაზეთის ტერიტორიის ისტორიული მკვიდრი ერია, აქვს საქართველოში ტერიტორიული ავტონომიის წესდებულებაში ფიქსირებული უფლება, რაც მის, როგორც საკუთარი მიწაწყლის, საკუთარი ეროვნული სახის, ენისა და კულტურის მქონე ერის, მარადიული სიცოცხლის აუცილებელი ობიექტური პირობა. ამ ტერიტორიული ავტონომიის რაგვარობა და პირობები განისაზღვრება მხოლოდ ქართველი და აფხაზი ერების თავისუფალი შეთანხმებით მათ მიერ დემოკრატიული წესით არჩეული წარმომადგენლობების (ან წარმომადგენლობითი ორგანოების) სახით.

4. საქართველოში ხორციელდება (ქალაქების, რაიონების, თემებისა და სოფლების მასშტაბით) სრული დემოკრატიული მუნიციპალური თვითმართველობა დემოკრატიული ადგილობრივი არჩევნების საფუძველზე. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ხელში რჩება ადგილებზე:

ა) ეკოლოგიური კონტროლის ფუნქცია

ბ) წიაღისა და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენების მართვის ფუნქცია

გ) მიწათსარგებლობის რეგულირების ფუნქცია

დ) წესრიგის დაცვის ფუნქცია

ამ ფუნქციებს სახელმწიფო ახორციელებს თავისი რწმუნებულის (პროკურატორი, მოურავი...) საშუალებით, რომლის იურისდიქციის სფერო მოიცავს ერთ ან რამდენიმე რაიონს.

5. საქართველოს მთელი მიწის, წყლის, წიაღის და საპაერო სივრცის უზენაესი მესაკუთრე და მფლობელი არის საქართველოს რესპუბლიკა. ამ ფასეულობათა გამოყენების ანდენს და მათი გამოყენების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკა, საქართველოს მოქალაქის, მისი სტრატეგიული საშუალება აფრენილიყვნენ და საჰაერო სივრცეს სამხედრო თვითმფრინავები (თუ არ ვცდები СУ —27) აკონტროლებდნენ, რომელთაც არავითარი განმასხვავებელი ნიშნები არ ჰქონდათ.

საბრძოლო ოპერაციების ჩატარებაში დიდ სირთულეებს გვიქმნიდა ისიც, რომ დანაღმულია გზები, ხიდები, სახლებიც კი. მოგიყვებით ერთ პატარა ეპიზოდს: ს. აჩიგარაში, საბრძოლო ოპერაციების დროს, ერთ-ერთი საკუთარი სახლის სარდაფში, რომელიც აფხაზების ოჯახს ეკუთვნოდა, აღმოვაჩინეთ დიდი რაოდენობის ასაფეთქებელი ნივთიერებები დისტანციური მართვის მექანიზმით, რომელიც ბედნიერი შემთხვევის წყალობით ერთმა ჩვენმა მებრძოლმა შენიშნა და მენაღმეებმა გაუნეიტრალეს.

ბიჭები გულიანად იბრძოდნენ, არცერთი არ შემდრკალა მტრის წინაშე, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ იყო შემთხვევები, როცა ქართული გვარის მატარებელი გააფხაზებული კაცი (თანაც არა ერთი და ორი), უფრო გააფთრებით გვებრძოდა ხოლმე, ვიდრე სისხლით და ხორცით აფხაზი. ამით იმას მინდა გავუსვა ხაზი, რომ იმ პოლიტიკამ, რაც ათწლეულების მანძილზე კეთდებოდა აფხაზეთში, მიგვიყვანა იქამდე, რომ საკუთარ მიწაზე მცხოვრები ქართველი კაცი ხშირად იძულებული იყო გააფხაზებულიყო და ამ პროცესში ეროვნული ცნობიერებაც დაეკარგა და გადაგვარებულიყო.

მეორე სამწუხარო მომენტი ის გახლავთ, რომ აფხაზეთში მცხოვრებმა სომხური მოსახლეობის ნაწილმა, განსაკუთრებით ორგანიზაცია „კრუნკმა“ თავიდანვე ქართული მხარის საწინააღმდეგო პოზიცია დაიჭირა და აქტიურად შეუდგა აფხაზური გვარდიისთვის მატერიალური და ფულადი დახმარების გაწევას, ხოლო აფხაზურ გვარდიაში ზოგიერთი სომეხი მებრძოლიც კი აღმოჩნდა.

მესამე, კვლავაც სამწუხარო მომენტი ისაა, რომ ძარცვა-გლეჯას, მაროდიორობას საზღვარი არა აქვს. ძარცვავს ყველა — ჩეჩენიც, აფხაზიც, ქართველიც, იძარცვება ყველაფერი — დაწესებულებები, მაღაზიები, საკუთარი სახლები , საწარმოები, მატარებლები... ისეთი მოხალისეებიც კი აღმოჩნდნენ (რა თქმა უნდა, კანტი-კუნტად), რომლებმაც ბრძოლის ნაცვლად ძარცვას მიჰყვეს ხელი.

კიდევ ერთი მომენტი: ჩემი იქ ყოფნის პერიოდში პრეზიდენტყოფილის მომხრეებმა რამდენჯერმე დააპირეს მიტინგის ჩატარება პრეზიდენტის სურათით ხელში, რაც, ბუნებრივია, არ შედგა, რადგანაც საომარ ვითარებაში მყოფი ქალაქის ცენტრში მიტინგის ჩატარება არცთუ გონივრული საქციელია. სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისითაც კი. ამდენად, გამსახურდიას მომხრეთა პოზიცია ამ კონფლიქტის მიმართ ვერ გამოიკვეთა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ ხალხს (ყოფილი პრეზიდენტის მომხრეთ) თუ მართლა ჩვენს გვერდით ბრძოლა და მამულის დაცვა სურდათ, უმიტინგოდაც ხომ მოახერხებდნენ.

ნოდარ ნათაძე

## ბიჭები გულიანად იბრძოდნენ

ამულისათვის გულანთებული ბევრი ვაჟკაცი გაეშურა ამ დღეებში აფხაზეთში. მათი მიზანი ერთია — დაიცვან მამული გადამთიელთა ხელყოფისაგან.

ომს თავისი კანონები აქვს და ბიჭებიც ამ კანონების მიხედვით ცხოვრობენ. სძინავთ ღია ცის ქვეშ, არ უშინდებიან უამინდობას, ტყვიების წვიმილს და მედგრად დგანან.

დღეს გთავაზობთ ერთი რიგითი ქართველი მოხალისე მებრძოლის ნამბობს, რომელმაც არ ისურვა გაზეთში თავისი ვინაობის გამჟღავნება იმ მოტივით, რომ მე ჩემს მამულშვილურ ვალს ვიხდი და ამას აფიშირება არ სჭირდებაო, რასაც გულის-გულში არ შეიძლება არ დაეთანხმო.

— „აფხაზეთში 360 მოხალისე ჩავფრინდით. სანამ გავფრინდებოდით, თავდაცვის სამინისტრომ დაგვირიგა სამხედრო ფორმები და სხვა ჯარსიკაცური აღჭურვილობა, იარაღი კი სოხუმის აეროპორტში ჩაფრენისთანავე მოგვცეს.

ჩასვლისთანავე სოხუმის დოსაფის ბაზაში მოგვათავსეს. ორი დღის განმავლობაში იქ ვიყავით დისლოცირებული. წესით სამხედრო წვრთნაც უნდა გაგვეკეთა, მაგრამ ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ მოწინააღმდეგის მხრიდან დაიწყო თავდასხმა ჩვენს პოზიციაზე. კერძოდ, ჩვენს მახლობლად მდებარე სასაფლაოდან გვესროდნენ.

ჩვენთვის პირველი საბრძოლო ოპერაცია სოხუმთან ახლოს, ს.აჩაგარაში ჩატარდა. აქ იყვნენ განლაგებული აფხაზური გვარდიის ნაწილები და ჩრდილო კავკასიელი „ბოევიკები“ (უმეტესობას ეს უკანასკნელნი შეადგენდნენ). სწორედ ეს სოფელი უნდა განგვეწმინდა მტრისაგან, რომელთა საცეცხლე წერტილები წინასწარ დაზვერეს ჩვენმა ბიჭებმა და მძიმე ტექნიკის გამოყენებისა და შეუპოვარი ბრძოლის შედეგად ამ სოფლის ტერიტორიის ნაწილი დავიკავეთ. მაგრამ თითოეული სახლის, თითოეული პოზიციის დაკავება დიდი სისხლის ფასად დაგვიჯდა.

რაც შეეხება მტრის სამხედრო ტაქტიკას, ისინი ძირითადად ტყეს აფარებდნენ თავს, ხუთი-ექვსი კაცისაგან შემდგარი მათი ჯგუფები მუდმივად იცვლიან ადგილს, შეიარაღებულნი არიან კბილებამდე— მათ არსენალშია ავტომატი, ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი, ე.წ. „მუხა“ და ა.შ. ჩემის აზრით, მათ ასეთ ეშმაკობას მიმართეს — განლაგდნენ რუსეთის ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის საიდუმლო ლაბორატორიის ირგვლივ, რომელიც სწორედ ს. აჩიგარის ტერიტორიაზეა განლაგებული. ეტყობა, (ესეც ჩემი სუბიექტური აზრია) მათ ამაზე ამ ნაწილის უფროსების თანხმობა ჰქონდათ, თორემ სხვანაირად როგორ უნდა აეხსნათ ის ფაქტი, რომ სამხედრო წესდების თანახმად, სამხედრო ობიექტის ირგვლივ ნახევარი კილომეტრის რადიუსზე ყოფნის უფლება არავის არა აქვს (მით უფრო, შეიარაღებულ რაზმებს) და ამისთვის სათანადო სამხედრო დაცვაც უნდა ფუნქციონირებდეს. მე არ ვიცი რა ამოძრავებდა ამ სამხედრო ნაწილის მეთაურს სისოფეს, როცა უფლება მისცა აფხაზური გვარდიისა და ჩეჩენ-ადიღეელების რაზმებს განლაგებულიყვნენ ამ სამხედრო ობიექტის ირგვლივ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ამ სამხედრო ობიექტის გამო ჩვენმა რაზმებმა წინ წაწევა ვერ შესძლეს და მეტიც, ამ ობიექტიდან ნასროლმა ჭურვებმა რამდენიმე ჩვენი მებრძოლის სიცოცხლე შეიწირა. ამასთანავე, ამ სამხედრო ნაწილის მეთაურთა მოთხოვნით, ჩვენს საბრძოლო ვეტმფრენებს არ მისცეს

# მიწის პრივატიზაცია ტექნიკის გარეშე?

ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიულმა მდებარეობამ, მისმა ბუნებრივმა პირობებმა და ხალხის ხასიათის თავისებურებამ განაპირობა და ჩამოაყალიბა იგი აგრარული წარმოების ქვეყნად, რის გამოც ქართველი ხალხის ეროვნული სახე და ყოფიერება ისტორიულად განიხილებოდა და განიხილება ჩვენი გლეხობის ცხოვრების წესით, მისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობით. სწორედ ამიტომ ანიჭებდა დიდი ილია ჩვენი გლეხობისათვის მიწის გადაცემის საკითხს ქვეყნის სასიცოცხლო მნიშვნელობას. და აი, მოსახლენი მოხდა, მთავრობამ გადაწყვეტილებით ჩვენს ქვეყანაში დაიწყო მიწის პირვატიზაციის პროცესი! გლეხობას უბრუნდება მიწა საკუთრებაში. თითქოს და ახდა ჩვენი სანუკვარი ოცნება, მაგრამ..., მაგრამ შეძლებს კი ჩვენი დღევანდელი გლეხი მიწაზე დამკიდრებას, რითაც საფუძველი უნდა ჩაეყაროს ქართული ტრადიციების მატარებელი სოფლის აღდგენა-განვითარებას? აი კითხვა, რომელზედაც დღეს აუცილებლად გვმართებს დაფიქრება და პასუხის გაცემა.

დამეთანხმებით, რომ დასმული საკითხის დადებითად გადაწყვეტა მრავალ პრობლემასთანაა დაკავშირებული, რომელთაგანაც ერთ-ერთი მთავარი მაინც გლეხკაცის ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფაა, რადგანაც ჩვენს გლეხობას დღეისათვის საკუთრებაში ფაქტობრივად არ გააჩნია მიწის დამამუშავებელი ტექნიკა და არ ჰყავს პრიმიტიული ცოცხალი გამწვევი ძალა, არა აქვს ნიადაგის სასუქები და შხამ-ქიმიკატები, საწვავ-საპოხი მასალა. და ფასებზეც რომ არაფერი ვთქვათ, უბრალოდ, არც ისე ადვილად იშოვი ისეთი სასოფლო-სამეურნეო იარაღსაც კი, როგორიც გახლავთ თოხი, ცელი, ბარი, ნიჩაბი და სხვა. გულის ტკივილით უნდა აღინიშნოს ეს ფაქტიც, რომ რადგანაც მიწის საკარგულები ჩვენში (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში) სოფლიდან 10—20—30 კილომეტრითაა დაშორებული, გლეხს იქ მისვლა უტრანსპორტოდ უჭირს. ეს გაჭირვება კი მიმდინარე წელს პრივატიზებული მიწების დაუმუშავებლობის ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

სოფლის საწუხარს ვინ ჩამოთვლის, მაგრამ ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ გლეხი პრივატიზაციის შედეგად მის საკუთრებაში გადაცემული მიწის პირისპირ შიშველი ხელებით დგას და შველას ითხოვს. და თუ მას მშველელი დროზე არ გამოუჩნდა, იგი, ცხადია, ეჭვის თვალით შეხედავს ჩვენში მიმდინარე მიწის პრივატიზაციის პროცესს, იძულებული იქნება უარი თქვას მიწის საკუთრებაზე ან ხელი აიღოს მის დამუშავებაზე. ამას კი რა შედეგიც მოყვება, ყველასათვის ნათელია.

ეფიქრობთ, საჭირო არაა ჩვენგან იმის მტკიცება, რომ ჩვენი სოფელი მიწის პრივატიზაციის კანონს მოუშზადებელი შეხვდა და ეს განპირობებული იყო ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობით, რამაც, ბუნებრივია, არ მოგვცა საშუალება იმისა, რომ სხვა ქვეყნების მსგავსად, გარკვეული დრო გამოგვეცხადებია მოსამზადებელ პერიოდად და შემდეგ ჩაგვეტარებინა მიწის პრივატიზაცია, ისე როგორც, მაგალითად, ჩინეთში გაკეთდა, სადაც ხუთი წელი პრივატიზაციის მოსამზადებელ პერიოდად გამოცხადდა და ამ ხნის განმავლობაში მათ იმას მიაღწიეს, რომ ყველა სოფელი მოამარაგეს მობილური და სხვა სახის ტექნიკით, რომელთაგანაც თვითონ რის დამზადებაც ვერ შეძლეს, სხვა ქვეყნებიდან შემოიტანეს და ხელმისაწვდომ ფასებში შეასყიდეს სოფლის მცხოვრებლებს, ხოლო უფრო ხელმოკლეთათვის შექმნეს ტექნიკის გამქირავებელი პუნქტები. გარდა ამისა, ყველა სოფელში შექმნეს ტექნიკისა და მისი მარაგნაწილების შესაძენი პუნქტები, რომლებიც სრულყოფილად მოამარაგეს: საწვავ-საპოხით, სათადარიგო ნაწილებით, სასუქებით და შხამ-ქიმიკატებით. ერთი სიტყვით, როგორც გაზეთები იტყობინებოდნენ, შესაძლოა 20—30 კილომეტრ სოფელში პურის მაღაზია არ იყოს, მაგრამ მანქანების გამქირავებელი, საწვავ-საპოხი მასალების და სათადარიგო ნაწილების გასაყიდი პუნქტი მაინც არისო. დამეთანხმებით, რომ ასეთი სამზადისის ჩატარება არ შეგვეძლო და ჩვენი სამზადისი მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ ერთ მშვენიერ დღეს შევქმენით პრივატიზაციის ზოგადი კანონი და საპრივატიზაციო კომიტეტი, შემდეგ კი გამოვაცხადეთ მიწის პრივატიზაცია, რომელსაც ადგილებზე ისეთი წინააღმდეგობა შეხვდა მავანთაგან სუბიექტური და ობიექტური, მოგონილი და ნამდვილი მიზეზების გამო, რომ ეს ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი ლამის ჩაშალეთ. დიდის წვალებით დავიწყეთ მიწის საკუთრებაში გადაცემა ისე, რომ ათას სათქმელთა შორის ხეირიანად ერთხელაც კი ვერ ვთქვით, თუ საკუთრებაში გადაცემული მიწის დამამუშავებელი ტექნიკა სად და როგორ გვეშოვა და გამოგვეყენებინა, თითქოს ეს საკითხი ნაკლებ მნიშვნელოვანი იყოს ან თითქოსდა დღეისათვის ამ საკითხზე ჯეროვანი პასუხის გაცემა არ შეიძლებოდეს. თავს უფლებას ვაძლევ დაჯერებით ვთქვა, რომ არც ისეთი გამოუვალი მდგომარეობა გვაქვს, თუკი საქმეს მონდომებით და გაბედულად მოვკიდებთ ხელს.

დავიწყოთ იქიდან, რომ რადგანაც ჩვენ დღეისათვის ვატარებთ მიწის ნაწილობრივ პრივატიზაციას, ე.ი. სახელმწიფო მეურნეობის ან კოლმეურნეობის საკუთრებაში მყოფი მიწის სავარგულების ნაწილი უბრუნდება მის კანონიერ პატრონს — გლეხობას, დღის წესრიგში დგება საკითხი, ვის გადაეცეს ის ტექნიკური საშუალებები, რომლითაც მუშავდება დღემდის ეს მიწები? თუმცა, უკვე გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ აღნიშნული ტექნიკური საშუალებები უნდა დარჩეს სახელმწიფო საკუთრებაში იმის გამო, რომ ჩვენს სოფლის მეურნეობას არ გააჩნია საკმარისი რაოდენობის ტექნიკური საშუალებები და გლეხობა კი ტექნიკას ვერ გაუწევს სწორ ექსპლუატაციას. მიგვაჩნია, რომ ასეთი მოსაზრება არაა მართებული, რადგანაც მიწა კერძო საკუთრებაში გადადის სახელმწიფო მეურნეობის იმ მიწის ფონდიდან, რომელიც დღემდე მუშავდებოდა ამ მეურნეობაში არსებული ტექნიკური საშუალებებს გამრყენებით ამავე მეურნეობაში მომუშავე ტექნიკური დარგის სპეციალისტების მიერ, გამოდის, რომ სოფელს, სადაც ეს მეურნეობა ფუნქციონირებს და ამუშავებს თავის საკარგულებს, დღეისათვის გააჩნია მისთვის საჭირო (ყოველ შემთხვევაში, მინიმალურად აუცილებელი) ტექნიკური საშუალება და ჰყავს ტექნიკური დარგის სპეციალისტები. მიწის ფონდის ნაწილობრივ გადაცემას სახელმწიფო მეურნეობის (კოლმეურნეობის) ფონდიდან გლეხობის საკუთრებაში მოჰყვება შესაბამისად ამ მეურნეობის საკუთრებაში არსებული ტექნიკისა და მისი მომსახურე სპეციალისტების გარკვეული ნაწილის გამონთავისუფლება, რომელთა დასაქმება კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწის სამუშაოებზე, კერძო მესაკუთრეთა საერთო საკუთრების ვიდა გლეხის შრომა, რომლის საფასურად მას სახელმწიფო მეურნეობაში კაპიკებს უხდიდნენ? ანუ, იმდენს, რამდენიც მისი არსებობისათვის იყო საჭირო, რათა კვლავწარმოებისათვის იგი ფიზიკურად ვარგისი ყოფილიყო. ჩვენ გვწამს, რომ თუ დღევანდელ მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა, მან რაც შიძლება მალე უნდა მიიღოს კანონი სახელმწიფო საკუთრების ტექნიკის ფონდიდან გლეხობისათვის კერძო საკუთრებაში ფასგადახდევინების გარეშე გადაცემის შესახებ.

ვანიჭებთ რა აღნიშნულ პრობლემებს ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის უაღრესად დიდ მნიშვნელობას, იმ მიზნით, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მიწის პირვატიზაცია გავაგრძელოთ და გონივრულად განვავითაროთ, საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი:

— სოფლებში, სადაც დღეისათვის სახელმწიფო მეურნეობა ან კოლმეურნეობაა, შეიქმნას მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მსგავსი პუნქტები, პრივატიზებული მიწების მომსახურეობისათვის.

— პუნქტების აღჭურვა მოხდეს ამ სოფლებში არსებული კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის ტექნიკური ფონდიდან ფასგადახდევინების გარეშე.

— გადაცემული ტექნიკის ადგილობრივი ადგილობრივ ადგილობრივ ადგილობრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# "ნუ დაგვაკარგვინებთ რწმენას!" ანუ მიეცით უნიჭობას გზა ფართო!...

**დასამალი** არ არის, რომ ჩვენში სწავლა (უმაღლესში) ერთობ უყვართ.

ყველა თუ არა, უმრავლესი მოსწავლე **მხოლოდ იმისათვის** სწავლობდა სკოლაში, რომ შემდეგ ინსტიტუტში გაეგრძელებინა ეს საქმე საქმე...

ერთი სიტყვით, გამოიტანდი სკოლიდან ატესტატს, შეიტანდი უმაღლესში, ჩაბარებდი გამოცდებს ან გარკვეულ თანხას, 5—10 წელიწადში გაბედებოდი „დიპლომიანი სახიძო (სარძლო)", დარჩებოდი საყვარელ დედაქალაქში და იქნებოდი შენთვის...

* * *

და გრძელდებოდა ასე, აწყობილად „შეტან-გამოტანის" პროცესი...

* * *

მაგრამ ბოლო ხანს ეს აწყობილი მექანიზმიც მოიშალა.

* * *

1989 წელს „ერისა და ქვეყნის სამსახურში ჩამდგარი", „გაეროვნებული" კომპარტიის თავმა **გივი გუმბარიძემ** თქვა პირველი ნოვატორული სიტყვა ამ მიმართებით: არიქა, საქართველოს უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები სჭირდება განსაკუთრებითო, და **ვინც კი** იმ წელს უმაღლესებში შეიხედა, აღარავინ გამოუშვა გარეთ...

* * *

მომდევნო წელს თავიდანვე ეროვნულად მოსული, „უჩემოდ ვინ იმღერეთა"-ს პრინციპით მომუშავე „მრგვალი" ხელისუფლება, უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა ბედიც რომ უშუალოდ პრეზიტენტს ჩააბარა, — ერთი პიროობა, გუმბარიძისეულ ექსპერიმენტზე უარის თქმას აპირებდა, მაგრამ გადაირივნენ გაბითურებული აბითურიერტები და მათი გულშემატკივრები, ამისათვის მოგეცით ხმაო?!

დაიწყეს სასიკვდილო შიმშილობები, გამომცდელებზე ნადირობა, ქვების სროლა, ფანჯრების მტვრევა...

ეროვნული მთავრობაც რისი ეროვნული მთავრობა იქნებოდა, ხალხის ხმას ყურად თუ არ იღებდა და ... იმ წელსაც არავინ დარჩენილა „გარეთ"...

* * *

ამ ცხრა თვის წინ მოსულმა, დროებითმა მთავრობამ დროულად დაიჭირა თადარიგი: იმ წუთშივე მიანიჭა უმაღლეს სასწავლებლებს ავტონომია, თავში ქვა გიხლიათ, აწი როგორც გინდათ, ისე ჩაატარეთ მისაღები გამოცდები, ვინც გინდათ და როგორც გინდათ, ისე მიიღეთ, ჩვენ ამ საქმისაგან ხელები დაგვიბანიაო....

* * *

გააზატებულმა რექტორებმაც ადრიდანვე ომახიანად აუწყეს ბითურ აბითურიენტებს, იშიმშილოთ კი არა, [illegible]როს ექსპერტებიც რომ ჩამოიყვანოთ, თქვენი ფეხი არ იქნება უმაღლესებშიო... თან ისიც ამხნევებდათ, ამ, ქვასროლია აბითურიენტებს მთლად საქართველოში მოფენილი ფასიან — კომერციული კოლეჯ-ინსტიტუტ-უნივერსიტეტ-აკადემიები გადაიბირებენ და ვინძლო ეს ზაფხული მშვიდობიანად გადავიტანოთო...

* * *

დაბანილმა ხელისუფლებმა, ძველი დრო აღარაა, ხალხო და ჯამაათო, ჩვენ რა შუაში ვართ, ვინ რას გვეკითხებაო...

თქვენ თუ მოინდომებთ, რა ეშმაკი დაგიდგებათ წინო!-არ იშლიდა ხალხი და ჯამაათი...

* * *

გახარებაც ვერ მოასწრო სახელმწიფო საბჭომ, რაკიღა ეს შემოტევა მოვიგერიეთ, აწი აღარაფერი გვიჭირს, ახლა სხვა საქვეყნო პრობლემებსაც მივხედავთ მშვიდ ვითარებაშიო, — რომ, ახლა ჩაჭრილი, „არადადებითი" აბითურიენტები შემოეწყვნენ საბჭოს, ჩვენ რაღა დაგაშავეთ, რავა, ჩვენ არ გვწყურია სწავლა, რატომ გვიშლიან ხელს, რატომ არ გვეხმარებით ამ პატრიოტული ვალის აღსრულებაში, რა მოხდა, თუ გამოცდები ვერ ჩავაბარეთ, სამაგიეროდ, ზოგიერთებივით არც სხვა რამ ჩაგვიბარებია და იმიტომაც დავრჩით გარეთო (მიუხვედრელებისათვის: „საცოდავი ძღვენის" არჩაბარებაზეა ლაპარაკი)!...

* * *

ზის ახლა ეს პატიოსანი ხალხი სახელმწიფო საბჭოსთან და უჩუყებენ გულს შემსვლელ-გამომსვლელებს ტრანსპარანტებით: **„მოვითხოვთ სოციალურად დაუცველი აბითურიენტების დაცვას!", „ბატონო ედუარდ, გამოიჩინეთ ჰუმანურობა, ნუ დაგვაკარგვინებთ რწმენას!"...**

* * *

ისე, კაცმა რომ თქვას, მართლაცდა რატომ პრ უნდა დავიცვათ „სოციალურად დაუცველი აბითურიენტები"?! რატომ არ უნდა გამოვიჩინოთ ჰუმანურობა, რატომ უნდა დავაკარგვინოთ ჩვენი ქვეყნის იმედსა და ნუგეშს რწმენა?!

დასვით, ბატონებო, ესენიც უმაღლესში (არ თქვათ ახლა, ადგილი, აუდიტორიები არ გვყოფნისო — იმედია, სულ არ ივლიან იქ!), მიეცით დიპლომები (მით უფრო, ისეთი დრო მოდის, მალე ჩალის ფასი ექნება ამ დასაწვავ მოწმობებს!), რა გვენაღლება, რა დაგვაკლდება?! სამაგიეროდ, გვეყოლება რწმენით სავსე ახალგაზრდები და აშენდება ქვეყანა!...

ფელიქს კოჟიაშვილი

## ფოტორეპორტიორის არქივიდან

1. ასეთი დროც იყო...

* * *

2.მიტინგი სასამართლო პროცესის დროს.

ბრალდებული თამაზ წივწივაძე. ბრალდებული გაზეთის რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი და მათი მხარდამჭერნი.

მომჩივანი არ ჩანს...

# საარჩევნო ბლოკი „11 ოქტომბერი“ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნებში წარმოგიდგენთ დეპუტატობის კანდიდატთა შემდეგ საარჩევნო სიას:

## №6 საარჩევნო ოლქი (იმერეთი)

1. **ვახტანგ ალექსანდრეს ძე ძაბირიძე**, დაბ. 06.02.1953, ინჟინერი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ახ.კლუბის საშხატვრო ხელმძღვანელი, რესპუბლიკური პარტიის წევრი.

2. **რევაზ ლეონიდეს ძე შავიშვილი**, დაბ. 29.05.1955, ფიზიკოსი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, „დას“-ის თავმჯდომარე, გეოფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, „დას“-ის წევრი.

3. **აკაკი ივანეს ძე ბობოხიძე**, დაბ. 14.09.1964, მათემატიკოსი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, სახელმწიფო საბჭოს მრჩეველი, რესპუბლიკური პარტიის წევრი.

4. **გია ჟორას ძე ცუცხვაშვილი**, დაბ. 10.06.1959, ინჟინერ-მექანიკოსი, ჭუთაისის პოლიტექნიკ. ინსტიტუტის ასისტენტი, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წევრი.

5. **თეიმურაზ იაშას ძე ნერგაძე**, დაბ. 30.01.1954, ფსიქოლოგი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, დ.უნსაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, სახალხო ფრონტის წევრი.

6. **თემურ ვლადიმერის ძე ჭუმბურიძე**, დაბ. 29.12.1953, მათემატიკოსი, ჭიათურის ზონისა და ჭიათურის საკრებულოთა წევრი, ჭიათურის რეგიონული სახალხო ფრონტის თავმჯდომარე, სახალხო ფრონტის წევრი.

7. **ავთანდილ ივერიკოს ძე ჟღერია**, დაბ. 03.01.1955, ინჟინერი, მრეწველობის საქართველოს ოსტატი, რესპუბლიკური პარტიის წევრი.

8. **მერაბ პავლეს ძე ბარათაშვილი**, დაბ. 28.03.1957, ინჟინერი, ჭუთაისის პოლიტექ. ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წევრი.

9. **ბიბილაშვილი გიორგი რეზოს ძე**, დაბ. 27.06.1960, ინჟინერი, საქციო სოზაგადოება „იმერეთის“ პრეზიდენტი, უპარტიო.

10. **გენო ლუკას ძე ჯიჯარიანი**, დაბ. 24.09.1936, ფიზიკოსი, ჭუთაისის ახალგაზრდობის ტექნიკური შემოქმედების ცენტრის დირექტორის მოადგილე, სახალხო ფრონტის წევრი.

11. **რამაზ ბუდუს ძე ჯაჯანიძე**, დაბ. 12.11.1960, ინჟინერი, ჭიათურის საბინაო ტრესტის მთავარი ინჟინერი, რესპუბლიკური პარტიის წევრი.

12. **ტარიელ გრიგოლის ძე რობაქიძე**, დაბ. 21.09.1959, ინჟინერი, ზესტაფონის საკრებულოს წევრი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ინჟინერი, უპარტიო.

13. **ვარლამ (გია) ვარლამის ძე შუშლაპა**, დაბ. 16.12.1951, ფილოლოგი, ხონის რ-ის ტბეთის საშ. სკოლის დირექტორი, სახალხო ფრონტის წევრი.

14. **ანზორ ბაბრატის ძე თოთაძე**, დაბ. 25.09.1939, ეკონომისტ-დემოგრაფი, მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დემოგრაფიის განყოფილების გამგე, უპარტიო.

15. **სიმონ ოთარის ძე ქახაძე**, დაბ. 27.02.1956, ინჟინერი, ჭუთაისის პოლიტექნ. ინსტიტუტის დოცენტი, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წევრი.

16. **კახა მიხეილის ძე კუჭავა**, დაბ. 28.08.1965, ისტორიკოსი, წყალტუბოს მოსწავლე ახალგაზრდ. მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წევრი.

17. **ეალბაზ ზოსიმეს ძე ტუკვაძე**, დაბ. 03.08.1966, ელექტრიკოსი, ჭუთაისის ავტოქარხნის ელექტრიკოსი, სახალხო ფრონტის წევრი.

18. **ნიკოლოზ ივლიანეს ძე ჯაფარიძე**, დაბ. 04.05.1947, ფიზიკოსი, ჭუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, სახალხო ფრონტის წევრი.

19. **ცეზარ შალვას ძე ხოჯანაშვილი**, დაბ. 12.07.1947, ინჟინერ-მეტალურგი, ფირმა „ხვამლის“ ვიცე-პრეზიდენტი, უპარტიო.

20. **თენგიზ გიორგის ძე სამხარაძე**, დაბ. 10.01.1958, სამთო ინჟინერი, ჭიათურის გეოლოგიური სამეგო პარტიის ინჟინერ-ეკონომისტი, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წევრი.

21. **ავთანდილ ტუღუშის ძე ჯიმშარიანი**, დაბ. 10.03.1962, მათემატიკოსი, ხონის რ-ნის სოფ.გუმის საშ. სკოლის მასწავლებელი, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წევრი.

22. **ლევან ვარლამის ძე მესხი**, დაბ. 12.05.1954, ფიზიკოსი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, სახალხო ფრონტის თავმჯდომარის მოადგილე, ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მეცნიერი თანამშრომელი, სახალხო ფრონტის წევრი.

23. **დავით ბიკენტის ძე არეშაძე**, დაბ. 07.08.1941, გეოლოგი, მრეწველობის მინისტრის მოადგილე, სახალხო ფრონტის წევრი.

## №7 საარჩევნო ოლქი (გურია)

1. **ირაკლი გურის ძე ჩავლეიშვილი**, დაბ. 06.06.1957, ისტორიკოსი, პეტრა-ციხისპირის მუზეუმის დირექტორი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკური პარტიის წევრი.

2. **ზვიად მუხრანის ძე დოლიძე**, დაბ. 23.03.1967, ინჟინერ-ეკონომისტი, ჟურნალისტი, რუხიაველის საზოგადოებასთან არსებული ახალგაზრდული ასოციაციის თავმჯდომარე, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წევრი.

3. **ნუგზარ სოსოს ძე ჩხეიძაძე**, დაბ. 25.02.1964, ექიმი, ფირმა „რენომეს“ გან. უფროსი, სახალხო ფრონტის წევრი.

4. **თეიმურაზ მიხეილის ძე რეხვიაშვილი**, დაბ. 17.04.1952, ბიოფიზიკოსი, ივ.ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, უპარტიო.

## №8 საარჩევნო ოლქი (სამეგრელო)

1. **გაიოზ ალექსანდრეს ძე როგავა**, დაბ. 22.02.1956, ექიმი, სახალხო ფრონტის თავმჯდომარის მოადგილე, ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ს კ ინსტიტუტი, სახალხო ფრონტის წევრი.

2. **მალხაზ მიხეილის ძე ჩემია**, დაბ. 31.08.1956, კიბერნეტიკოსი, ს/გ გაერთიანება „ორიონის“ მთავარი სპეციალისტი, ქრისტ.-დემოკრ.კავშირის წევრი.

3. **ანზორ ვალერიანის ძე სიჯინავა**, დაბ. 18.02.1960, ისტორიკოსი, ჩხოროწყუს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეც. თანამშრომელი, სახალხო ფრონტის წევრი.

4. **გიორგი დავითის ძე თამლიანი**, დაბ. 20.10.1955, ინჟინერ-მშენებელი, მხატვარი კერამიკოსი, საქართველოს კულტურის სამინისტროს გაყოფილების უფროსი, სახალხო ფრონტის წევრი.

5. **ვახტანგ ვლადიმერის ძე შონია**, დაბ.03.03.1955, საქორგგაზის ინჟინერი, რესპუბლიკური პარტიის წევრი.

6. **მოგელი აკაკის ძე ტყემაშაბა**, დაბ. 03.01.1955, ეკონომისტი, ფოთის საზღვაო ვაჭრობის დირექტორი, უპარტიო.

7. **სერგო ალექსანდრეს ძე ჯანაშია**, დაბ.14.08.1955, ჟურნალისტი, გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორის მოადგილე, უპარტიო.

8. **ზურაბ ლუდუნის ძე კუპრავა**, დაბ. 10.07.1961, ფიზიკოსი, რესაუბ, საზოგადოება „მარტვილის“ პასუხისმგებელი მდივანი, სახალხო ფრონტის წევრი.

9. **მერაბ პროკოფის ძე ცირდავა**, დაბ. 26.03.1958, იურისტი, დრ. უმუშევარი, სახალხო ფრონტის წევრი.

10. **ჯემალ ალექსანდრეს ძე რობავა**, დაბ. 01.02.1942, თეატრმცოდნე, დრ. უმუშევარი, სახალხო ფრონტის წევრი.

## №9 (აფხაზეთის) საარჩევნო ოლქი

1. **ადა ლორიკის ას. მარშანია** დაბ. 01.07.1961. იურისტი. სახელმწიფო საბჭოს წევრი, ეროვნებათაშორის ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის აფხაზურ-ქართული ურთიერთობის განყოფილების გამგე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უმცრ. მეცნიერი თანამშრომელი. რესპუბლიკური პარტიის წევრი.

2. **რევაზ გიორგის ძე სალუქვაძე** დაბ. 15.02.1929, ფიზიკოსი, სგ სოხუმის ფიზიკური ინსტიტუტის დირექტორი, უპარტიო.

3. **ირაკლი - გივის ძე მაჭავარიანი**, დაბ. 24.12.1954, ფილოლოგი-აღმოსავლეთმცოდნე, სახელმწიფო საბჭოს მრჩეველი ეროვნული ურთიერთობების დარგში, ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, რესპუბლიკური პარტიის წევრი.

4. **დიმიტრი ბიძინას ძე მჭედლიძე**, დაბ. 26.10.1961, იურისტი, ეკონომისტი, საგარეო საქმეთა და საგარეო ასოციაცია პერსპექტივის თავმჯდომარე, სოხუმის ბირჟის საბჭოს თავმჯდომარე, უპარტიო.

5. **იოსებ ნოდარის ძე დარახველიძე**, დაბ. 04.11.1956. ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ასისტენტი, უპარტიო.

6. **იური კონსტანტინეს ძე გულია**, დაბ. 28.08.1948, ფიზიკოსი, ივ.ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის პრორექტორი, ზოგადი ფიზიკის კათედრის გამგე, დოცენტი, უპარტიო.

7. **დავით ვალიკოს ძე რობავა**, დაბ. 17.03.1957, მათემატიკოსი, ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის მასწავლებელი, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წევრი.

8. **როინ ამირანის ძე ჯანაშია**, დ. 22.10.1946, ინჟინერმშენებელი, სოხუმის „სოფმშენის“ სამშენებლო უბნის უფროსი, უპარტიო.

9. **ელგუჯა გენადის ძე ადამია**, დაბ. 17.04.1960, ექიმი, წმ.ნინოს ჰოსპიტალის გენერალური დირექტორის მოადგილე, უპარტიო.

10. **თემურ გიორგის ძე კვარაცხელია**, დაბ. 04.07.1960, მათემატიკოსი, სოხუმის ბიზნეს-ცენტრის საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის უფროსი, უპარტიო.

11. **ნოე დავითის ძე კამკია**, დაბ. 21.06.1958, ფილოლოგი, ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის უფრ.მასწავლებელი, უპარტიო.

12. **დავით ლაკრენტის ძე ცეცხლაძე**, დაბ. 12.06.1939, ფიზიკოსი, ს გ სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, უპარტიო.

13. **იოსებ ალექსანდრეს ძე მელქაძე**, დაბ. 27.03.1963, მექანიკოსი, მათემატიკოსი, მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის უმცრ. მეცნიერი თანამშრომელი, „დას“-ის წევრი.

## №10 საარჩევნო ოლქი (აჭარა)

1. **თამაზ ახმედის ძე დიასამიძე**, დაბ. 02.06.1959, ისტორიკოსი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, ნ.ბერძენიშვილის სახ. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, რესპუბლიკური პარტიის წევრი.

2. **ოთარ ნოდარის ძე ზოიძე**, დაბ. 02.02.1964, იურისტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის მეცნიერი თანამშრომელი, რესპუბლიკური პარტიის წევრი.

3. **სევერიან ლევანის ძე კვაჭაძე**, დაბ. 08.04.1951, ინჟინერი, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ბათუმის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორი, უპარტიო.

4. **ავთანდილ სეფერ[illegible] ძე ბერიძე**, დაბ. 11.01.195[illegible] ეკონომისტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭ[illegible] წევრი, სოფლის მეურნეობისა [illegible] გადამამუშავებელი მრეწველობ[illegible] მუშაკთა პროფკავშირის ხელმძ[illegible]ურის რაიონაბჭოს თავმჯდომარ[illegible] მოადგილე, სახალხო ფრონტ[illegible] წევრი.

5. **შოთა მევლუდის ძ[illegible] ოქროპირიძე**, დაბ. 19.08.192[illegible] ისტორიკოსი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბ[illegible] წევრი, საქართველოს დამოუკიდ[illegible]ბელი პროფკავშირების აჭარ[illegible] კონფედერაციის თავმჯდომარ[illegible] უპარტიო.

6. **ამირან იუსუფის ძ[illegible] კახიძე**, დაბ. 08.06.1935, ისტ[illegible]რიკოსი, ნ. ბერძენიშვილის სა[illegible] ბათუმის სამეცნიერო-კვლევ[illegible] ინსტიტუტის არქეოლოგიის გ[illegible] ყოფილების გამგე, უპარტიო.

7. **იოსებ იუზას ძე ბ[illegible]რდანაშვილი**, დაბ. 23.11.19[illegible] კომპოზიტორი, აჭარის ავტონო[illegible]ური რესპუბლიკის კულტუ[illegible] მინისტრის მოადგილე, უპარტ[illegible]

8. **გიორგი თენგიზის [illegible] მასალაკინი**, დაბ. 15.12.1961. [illegible]ლოსოფოსი, აჭარის ავტონომიუ[illegible] რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს [illegible]ვრი, ნ.ბერძენიშვილის სახ. ბათუ[illegible] სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუ[illegible] მეცნიერი თანამშრომელი, რეს[illegible]ლიკური პარტიის წევრი.

9. **ომარ რუსლანის [illegible] ჭიჭაკაძე**, დაბ. 28.04.1959, [illegible]ენერი, ნ. ბერძენიშვილის სა[illegible] ბათუმის სამეცნიერო-კვლევ[illegible] ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრ[illegible]მელი, რესპუბლიკური პარტ[illegible] წევრი.

10. **ელგუჯა ოთარის [illegible] მაკარაძე**, 23.01.1963, ფილ[illegible]გი, ბათუმის შ.რუსთაველის [illegible] სახელმწიფო უნივერსიტეტის უ[illegible]სი მასწავლებელი, უპარტიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლევან მესხი:

# «უნდა მოხდეს დიდი შერიგება»

**— ბატონო ლევან, სახალხო ფრონტის მიერ შეგროვილ სხვა მოხალისეებთან ერთად თქვენც იყავით აფხაზეთში. გთხოვთ, გადმოგვცეთ თქვენი იქაური შთაბეჭდილებები.**

— აფხაზეთში წავედი 29 აგვისტოს მოხალისეთა I ბატალიონის შემადგენლობაში. სხვათა შორის ამ ბატალიონის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის სახალხო ფრონტს. ჩვენს განცხადებაზე მოხალისეთა შეკრებასთან დაკავშირებით, აფხაზეთის საომარ მოქმედებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა სახალხო ფრონტის 150-ე წევრმა. შემდეგ დღეებში მოვიდნენ სხვებიც.

29 აგვისტოს, ღამის 12 საათზე ორი თვითმფრინავით გადავფრინდით სოხუმში. სოხუმის მისადგომებთან თვითმფრინავებში შუქი გამორთეს, რადგან მოსალოდნელი იყო თავდასხმა. ჩასვლისთანავე გაგვაფრთხილეს, რომ აეროდრომის მისადგომები დანაღმული იყო. ამიტომ ღამე გავატარეთ აეროდრომზე. იქვე მოხდა იარაღის დარიგება. დილის 10 საათზე ბატონები ნოდარ ნათაძე, ზაზა ჩიქოვანი, ბატალიონის მეთაურები და თქვენი მონა-მორჩილი გავემართეთ მთავარსარდლის შტაბში. გზაზე, სოხუმის შესასვლელთან, სოფელ მაჭარასთან მოგვიხდა პირველი შეტაკება წანდიტებთან, რომელიც ჩვენთვის მშვიდობიანად, ხოლო ბანდიტებისათვის არცთუ მთლად კარგად დამთავრდა. შტაბში შევხვდით ბატონ გია ყარყარაშვილს, გავეცანით შექმნილ მდგომარეობას, ამის შემდეგ გავემგზავრეთ დისლოკაციის ადგილზე. ჩვენ დაბანაკებული ვიყავით ფრონტის ხაზიდან დაახლოებით 150—200 მეტრის დაშორებით, სოფელ გუმისთაში, სკოლა-ინტერნატის შენობაში. ჩვენს ნაწილზე, დისლოკაციის ადგილზე მოხდა რამოდენიმე თავდასხმა. აყვანილი იქნა ორი სომეხი როგორც ტერორისტი. ერთერთს ჰქონდა დიდძალი თანხა და წერილი, ხოლო მეორეს ეუშბარმტყორცნი და ოპტიკურსანახავი. 2 აგვისტოს ჩვენი ბატალიონი, მთავარსარდალის ბრძანებით გადაყვანილი იქნა გაგრაში. ხოლო ბატონები — ნოდარ ნათაძე, ზაზა ჩიქოვანი, დავით ტიკურიშვილი, გურამ ნიკოლეიშვილი, მე და კიდევ 30-დან მებრძოლი დავრჩით სოხუმში და ვმონაწილეობდით ეშერის მისადგომებთან გამართულ ბრძოლებში. ეს ბრძოლა დაიწყო 1 სექტემბერს. შეტევა განხორციელდა რამოდენიმე მიმართულებით. ჩვენ ვიყავით საარტილერიო ბატალიონთან. თავდაპირველად მეტევა წარმატებით ხორციელდებოდა. რუსეთის ბომბდამშენები პიკირებას აკეთებდნენ ჩვენს პოზიციებზე და ერთი ტანკიც აგვიფეთქეს. ამას ერდა, ეშერაში განლაგებული სამხედრო ლაბორატორიის ტერიტორიიდან დაიწყეს „ატურს“-ების დაშენა ჩვენს ავშანმანქანებზე. ეს ყველაზერი დავინახეთ მე და სახალხო ფრონტის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ, ბატონმა ზაზა ჩიქოვანმა. ბრძოლის მეორე დღეს სოხუმში ჩამოფრინდნენ გენერლები — შარაშენიძე და მურავიოვი. მათი მისია მდგომარეობდა იმაში, რომ გაერკვიათ მართლა მონაწილეობდა რუსული მხარე ბრძოლაში თუ არა. ჩამოსვლისთანავე მურავლიოვმა განაცხადა, რომ პირდაპირ წავსულიყავით სამხედრო ლაბორატორიის ტერიტორიაზე (მაგრამ შემდგომინც გადათქვა, იმ მოტივით, რომ იქ მიმდინარეობდა ბრძოლები და იქ წასვლა სახიფათოა). ამის შემდეგ გავემართეთ მთავარსარდლის შტაბში, იქ საუბარი ჰქონდათ პოლკოვნიკ დევი ჭანკვეტაძესთან და მებრძოლებთან, რომლებიც ერთხმად ამტკიცებდნენ რუსების მონაწილეობას ბრძოლებში. შემდეგ გენერალ მურავლიოვის მოთხოვნით გავემგზავრეთ შუქურასთან განლაგებული რუსული ბატალიონის ტერიტორიაზე. იქ გენერალი მურავლიოვი ტელეფონით ესაუბრა ჩვენთვის უცნობ პირებს. ამ საუბრების შემდეგ ის კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა ლაბორატორიის ტერიტორიაზე წასვლისა. მოტივი იყო — ამ ტერიტორიაზე მიმდინარე ბრძოლები.

ბოლოს ბატონმა ნოდარ ნათაძემ მიმართა გენერალს: „გენერალო, ჩემი და თქვენი სიცოცხლე ღირს იმად, რომ გავიგოთ სიმართლე, რათა შემდეგში, ჩემი და თქვენი ქვეყნების ურთიერთობაში არ იყოს გაურკვეველი მომენტები“. მაგრამ გენერალი უარზე იდგა. ამ საუბრის შემდეგ რუსეთის ბატალიონის მეთაურმა შემოიტანა ოთახში აუფეთქებელი ყუმბარა და განაცხადა, რომ იგი დავარდა ბატალიონის ტერიტორიაზე., და რომ, თუ ეს კიდევ განმეორდება, ის პასუხს არ აგებს შესაძლო შედეგებზე. ამას მოჰყვა ბატონი ნოდარ ნათაძის და ჩემი ნახევარსაათიანი ლექცია, რომელიც ჩავუტარეთ რუს ოფიცრებს ამ განცხადებასთან დაკავშირებით. საბოლოოდ რუსების პოზიცია დღის ბრძოლებთან დაკავშირებით ასე ჩამოყალიბდა — не пойман — не вор.



**— რას იტყვით ჩვენს მებრძოლებზე?**

— ესენი არიან სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცები და მჯერა, რომ სულ მალე მოხდება იმ ჯარისკაცებისა და ოფიცრების დაჯილდოება ქართული ორდენებით, რომლებიც განსაკუთრებულ სიმამაცეს იჩენდნენ.

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მინდა მოვიხსენიო გენერალი ყარყარაშვილი, მისი თავდადება და სიმამაცე მაგალითია ჯარისკაცებისათვის. და მინდა სურვილი გამოვთქვა, რომ ქართული არმია მხოლოდ ასეთი ოფიცრებისაგან შედგებოდეს. ბოდიშს ვიხდი ყველა იმ მხედრების წინაშე, რომლებიც ვერ მოვიხსენიე. სახალხო ფრონტი და პირადად მე ქედს ვიხრით დაღუპულთა წინაშე.

**— როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრს, გქონიათ თუ არა იქ რაიმე საკითხში ჩარევის უფლება?**

— მე აფხაზეთში გახლდით როგორც მეომარი და არა როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრი. რა თქმა უნდა მე მქონდა საუბარი გენერალ ყარყარაშვილთან სხვადასხვა საკითხებზე, მაგრამ ეს იყო ჩემი, როგორც მოქალაქის და არა როგორც, ოფიციალური პირის პოზიცია. თუმცა, როდესაც სოხუმში ჩამოვიდა ბატონი თენგიზ სიგუა, მე მივიღე მონაწილეობა ზოგიერთი საკითხის განხილვაში.

**— რას იტყვით იქაური ქართველი და აფხაზი მოსახლეობის განწყობის შესახებ?**

— მიუხედავად იქ შექმნილი მდგომარეობისა, ქართველთა განწყობილება აფხაზების მიმართ შემწყნარებლურია. მე მომსწრე ვარ იმისა, თუ ქართველები როგორ უნაწილებდნენ საკვებს აფხაზებს, სოხუმში. რაც შეეხება აფხაზებს, ვერ გეტყვით, რადგან, ვისთანაც მქონდა საუბარი, დაშინებულნი იყვნენ და თავის პოზიციას არ გამოხატავდნენ. ერთადერთი, რასაც ამბობდნენ, ის იყო, რომ „მან დაღუპა აფხაზეთი“-ო.

**— სამომავლო პერსპექტივები აფხაზეთში როგორ გესახებათ?**

— უნდა ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები და არა ისეთი აპარტეიდული, რომელიც ჩაატარეს. უნდა მოხდეს უფლებამოსილების გამიჯვნა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. უნდა მოხდეს დიდი შერიგება. ეს აუცილებელია, რადგან ის პოლიტიკა, რასაც აფხაზეთის ხელისუფლება ატარებდა ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში, დაღუპველია თვითონ აფხაზი ხალხისათვის. უნდა მოხდეს აფხაზური გვარდიის, როგორც უკანონო შეიარაღებული ფორმირების განიარაღება და ერთიანი საქართველოს არმიის შექმნა. ამასთან აუცილებელია, რუსული არმიის ნაწილების დაუყოვნებლივ გაყვანა სამარი მოქმედების ზონიდან და მოლაპარაკების დაწყება რუსეთის მთავრობასთან რუსული არმიის საქართველოდან გაყვანის შესახებ. მე ვთვლი, რომ საქართველოში სტაბილურობის ერთ-ერთი გარანტია აქ განლაგებული რუსული არმიის ნაწილების გაყვანაშია. კიდევ ვიმეორებ, რა თქმა უნდა რუსული ნაწილების საქართველოდან უცებ გაყვანა არ მოხდება, მაგრამ მოლაპარაკება ამ საკითხზე რუსეთთან დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს.

**— ახლო წარსულში გადავინაცვლოთ. თქვენ წინა არჩევნების დროს ბრძანდებოდით ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი, თუ გვეტყვით ისეთ რამეს, რაც საზოგადოებისათვის უცნობია. რა ხდებოდა იქ, კომისიაში არჩევნების დროს იყო თუ არა კომუნისტებისაგან, „მრგვალი მაგიდის“ ან სხვა ძალებისაგან დაწოლა?**

— რა თქმა უნდა, იყო ცალკეული შემთხვევები როგორც კომუნისტებისაგან, ისე ეროვნული მოძრაობის ორივე ფრთის მხრიდან (გარდა „ცენტრისტული“ ძალებისა), მაგრამ მიმაჩნია, რომ ამას 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებზე მკვეთრი გავლენა არ მოუხდენია.

**— რა უნდა გაითვალისწინოს ამ საარჩევნო კომისიამ?**

— ამ საარჩევნო კომისიამ უნდა იმოქმედოს მხოლოდ და მხოლოდ კანონის მიხედვით.

**მინაწერი:** გაზეთის ამ ნომრის გამოსვლისას ბატონი ლევან მესხი კვლავ სოხუმში გაემგზავრა...

ესაუბრა
ლუკა მაკაბელი

# პარიტეტული კომიტეტის საქმე

ამრიგად, ნათელია, რომ 1924 წლის დამდეგისათვის პარიტეტული კომიტეტი ელოდა სხვა საგარეო გართულებებს და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი გამოსვლა. მაგრამ ხომერიკის დაპატიმრებამ, მასთან ერთად სასოფლო კომისის დაპატიმრებამ პარიტეტული კომიტეტის გეგმები ჩაშალა და გამოსვლაც გადაიდო. საქმე იმაშია, რომ, როგორც ეს ზემოთ დევდარიანის ჩვენებაშია იყო აღნიშნული, ხომერიკი მოქმედებდა დიქტატორულად, იგი წარმოადგენდა საზღვარგარეთის ინტერპარტიული ბიუროს კაცს, რომლის ხელშიც თავმოყრილი იყო აჯანყებისათვის მზადების ყველა ძაფი. ამრიგად, ხომერიკის დაპატიმრებას ბუნებრივია, უნდა დაერღვია პარიტეტული კომიტეტის სამხედრო საქმიანობა.

## აგვისტოს გამოსვლის წინადღეს

1924 წლის ზაფხულისათვის პარიტეტული კომიტეტი სამხედრო სამზადისს ამთავრებს.

დაახლოებით იმავე დროს პარიტეტულმა კომიტეტმა მიიღო ჟორდანიას სადირექტივო წერილი, რომელშიც ავტორი დაწვრილებით ავითარებდა საკითხს აჯანყებისა და მეზობლებთან (ჩრდ. კავკასია, აზერბაიჯანი, სომხეთი) ურთიერთობის შესახებ. ეს წერილი, რომელშიც შემდეგში ბ. ჩხიკვიშვილის დაპატიმრების დროს ჩაიგდეს ხელში, ანდრონიკაშვილმა წაიკითხა მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე. სხდომას ესწრებოდნენ ნოდია, ჩინორიჯ და ონიაშვილი. ყველა ისინი, როგორც ონიაშვილმა აზვენა, დაეთანხმნენ შეიარაღებული აჯანყების შესახებ იმ თვალსაზრისს, რომელიც გადმოსცა ჟორდანიამ თავის წერილში.

ივლისის დამდეგს პარიტეტულმა კომიტეტმა სამხედრო კომისიასთან ერთად მოაწყო სხდომა, რომლის შესახებ დაწვრილებით ჰყვება თავის ჩვენებაში იასონ ჯავახიშვილი:

„პარიტეტული კომიტეტის პირველი სხდომა სამხედრო კომისიასთან ერთად შედგა ივლისის დამდეგს. სხდომას ესწრებოდნენ: ანდრონიკაშვილი, მე, ბოჭორიშვილი, ჯუღელი, ზალდასტანიშვილი და შალვა ამირეჯიბი. მოხსენება სამხედრო კომისიისაგან გააკეთა ზალდასტანიშვილმა. მოხსენებიდან გამომდინარეობდა შემდეგი: აღმოსავლეთ საქართველოში აჯანყების ორგანიზაციას თავის თავზე იღებდა ჩოლოყაშვილი, რომლის ძალებიც შეადგენდა 600 შეიარაღებულ კაცს. ჩოლოყაშვილს აჯანყება უნდა მოეწყო კახეთში, დუშეთის მაზრაში და მანგლისის რაიონში. მენშევიკების პარტიას აჯანყება უნდა მოეწყო გარე კახეთში. ლაშქარაშვილი სამხედრო კომისიის მიერ გათვალისწინებული არ ყოფილა, რადგან მას არ გააჩნდა ორგანიზებული სამხედრო ძალა. ნახსენები არ იყო აგრეთვე ცაგური, თუმცა მე ვიცოდი, რომ იგი მუშაობდა მენშევიკების ორგანიზაციაში.

დასავლეთ საქართველოში ჩვენი სამხედრო ძალა ზალდასტანიშვილმა ასე წარმოადგინა: გურიას გამოჰყავდა 700, ბათუმს (საერთო ორგანიზაცია) — 300, სვანეთს — 600 შეიარაღებული კაცი. რამდენიმე ასეული კაცი გამოჰყავდა სამეგრელოს. სვანეთსა და სამეგრელოს ძალაუფლება უნდა აეღო აფხაზეთში, აქ საკუთარი ძალების გაგზავნის გზით. რაღაც იმედები იმერეთზეც, ძირითადად შორაპნის მაზრაზე, იყო. აჯანყება ითვალისწინებდა მთავრობის ჯარის საწყობების ხელში ჩაგდებას. თბილისში ვარაუდობდნენ 500 შეიარაღებული მენშევიკის, 150 ეროვნულ-დემოკრატისა და 60 ესერის გამოყვანას. მთავრობის ჯარების რაოდენობა ზალდასტანიშვილს წარმოედგინა 10—11 ათასი კაცის რაოდენობით.

ივლისის ბოლოს შედგა პარიტეტული კომიტეტის მეორე სხდომა სამხედრო კომისიასთან ერთად. ეს იყო პირველი სხდომის გაგრძელება. სხდომას ესწრებოდნენ: ანდრონიკაშვილი, ჯავახიშვილი, ჯუღელი, ზალდასტანიშვილი და ამირეჯიბი. სხდომაზე გადაწყდა, რომ შეიარაღებული გამოსვლის დაწყების საკითხი განსახილველად გადაეტანათ ცალკეულ პარტიებში, რათა პარტიათა ცენტრალური კომიტეტებისაგან მიეღოთ პრინციპული თანხმობა.

მენშევიკებისა და ეროვნულ-დემოკრატების ცენტრალური კომიტეტების სხდომაზე აჯანყების საკითხი დადებითად გადაწყდა.

1924 წლის 7 აგვისტოს დაპატიმრეს ვალიკო ჯუღელი. პარიტეტულმა კომიტეტმა, შემდეგი ჩავარდნების შიშითა და იმის გათვალისწინებით, რომ 1924 წლის აგვისტოს დამდეგს ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ხელმოწერის გამო შესაძლებელი იყო ხელსაყრელი მომენტის გაშვება, გადაწყვიტა რადაც უნდა დაჯდომოდათ გამოსვლა დაეწყოთ უახლოეს დღეებში. 18 აგვისტოს მოწვეული იქნა პარიტეტული კომიტეტის პლენარული სხდომა.

ამ სხდომას ესწრებოდნენ: ანდრონიკაშვილი, ჯავახიშვილი, ბოჭორიშვილი, დადიანი, და ძიების მიერ დაუდგენელი სხვიელების წარმომადგენელი (მისი ვინაობა უცნობი დარჩა). აჯანყებას მხარი დაუჭირეს მენშევიკებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა და ესერებმა. სხვიელების წარმომადგენელი თითქოს წინააღმდეგი გამოვიდა. ფედერალისტების წარმომადგენელმა სოლომონ დადიანმა პროტესტი გამოთქვა შეიარაღებული აჯანყების დაწყების წინააღმდეგ და დასტოვა სხდომა.

საჭირო მითითებულ იქნას იმის შესახებ, რომ სხვიელები ბრალდებულებისა: გიორგაძის, ინნაშვილის, ნინიძის სახით ცდილობენ თავიანთ ჩვენებაში საერთოდ გაემიჯნონ პარიტეტულ კომიტეტს და აცხადებენ: მუხრან ხოჭოლავას სიკვდილის დროიდან მათ თავიანთი წარმომადგენელი საერთოდ არ ჰყოლიათ პარიტეტულ კომიტეტში. მაგრამ ეს მტკიცება წინააღმდეგობაშია სხვიელების პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრების: თოფაძის, ანდღულაძისა და მახვილიანის ჩვენებებთან. ეს სამნი აცხადებენ, რომ ხოჭოლავას სიკვდილის შემდეგ წარმომადგენლები პარიტეტულ კომიტეტში სხვადასხვა დროს იყვნენ: ინნაშვილი, ნინიძე და გიორგაძე.

22 აგვისტოს მოწვეულ იქნა პარიტეტული კომიტეტის ბოლო სხდომა შემდეგი შემადგენლობით: ანდრონიკაშვილი, ჯავახიშვილი და ამირეჯიბი. გადაწყდა, გამოსვლის დღედ დაენიშნათ 28 აგვისტო. მაშინვე გადაწყდა თბილისში გამოსვლა არ მომხდარიყო, რადგან ქალაქი გამაგრებული იყო. გამოსვლები უნდა დაეწყოთ პროვინციებიდან და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოპერაციათა მსვლელობა აჯანყებულთათვის ხელსაყრელად წარიმართებოდა, ამ უკანასკნელთ თავიანთი ძალები თბილისის გარშემო უნდა დაეჯგუფებინათ და აელოთ იგი. ამ ხასიათის განკარგულებანი დაიგზავნა ადგილებზე.

27 აგვისტოს „აჯანყების მთავარი შტაბი“ ანდრონიკაშვილის, ჯავახიშვილის, ბოჭორიშვილის, ონიაშვილისა და შალვა ამირეჯიბის სახით თბილისიდან შიო-მღვიმის ტყეში გადავიდა, აქვე გამოცხადდა დირექტივების მისაღებად ჩოლოყაშვილი.

27—28 აგვისტოს ღამით ჭიათურაში ბანდიტური გამოსვლებით დაიწყო მოძრაობა, რომელიც ასე ხანგრძლივად მზადდებოდა პარიტეტული კომიტეტის მიერ.

საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი უშიშროების სამინისტროს არქივი, საქმე № 342, ფურცლები 9—13, 17—30, 33—37.

ვახტანგ გურული

დასასრული.
იხ. „საქართველო“ № 34,35

## გაიოზ როგავა:

# ვიწრო პარტიული ინტერესები უნდა დავძლიოთ...

საქართველოს სახალხო ფრონტის შექმნა ოფიციალურად გაფორმდა ფრონტის დამფუძნებელ ყრილობაზე, 1989 წლის 25 ივნისს. თავდაპირველად ორგანიზაციაში გაერთიანდნენ იმ დროისათვის პოლიტიკურად აქტიური მოქალაქეები.

მასიურობა და ურთიერგამომრიცხავი პოლიტიკური ინტერესების მქონე დაჯგუფებების არსებობა სახალხო ფრონტში ქმნიდა პოლიტიკური სახის დაკარგვის საშიშროებას, რაც გამოჩნდა პირველსავე ყრილობაზე, როდესაც ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები დაეინებით ილაშქრებდნენ სახალხო ფრონტის პროგრამაში იმ პუნქტის წინააღმდეგ, რომელიც გამოხატავდა ორგანიზაციის უმთავრეს მიზანს — საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას...

სახალხო ფრონტის მტკიცე, მიზანშიმართული და ცენტრისტული პოლიტიკა დღემდე არსებული ყველა ხელისუფლების მიერ აღიქმება როგორც ოპოზიციური საქმიანობა. მოგეხსენებათ, ოპოზიციონერებს საქართველოში არ წყალობენ. რის გამოც სხვადასხვა დროს სახალხო ფრონტის რიგები დატოვეს იმ პირებმა, რომლებიც კონიუნქტურული მოსაზრებებით და გამორჩენის მიზნით იყვნენ გაწევრიანებული აქ. ამასთანავე პარალელურად მიმდინარეობდა ახალი წევრების მოსვლის პროცესი, რომელიც უკანასკნელ ხანს უფრო ინტენსიური გახდა. თანდათანობით სახალხო ფრონტი თანამოაზრეთა ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. დღეისათვის საქართველოს სახალხო ფრონტის უმთავრესი მიზანია საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცება-დაცვა და ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის ზრუნვა.

საქართველოს სახალხო ფრონტი ჩამოყალიბებისთანავე დაადგა საპარლამენტო ბრძოლის გზას. იგი მონაწილეობდა 1990 წლის მარტის (არშემდგარ) და ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში. პირველ მრავალპარტიულ პარლამენტში სახალხო ფრონტს ჰყავდა 11 დეპუტატი.

სახალხო ფრონტი მრავალი პატრიოტული წამოწყების ინიციატორია.

საქართველოს სახალხო ფრონტს დაარსებიდან დღემდე ხელმძღვანელობს ბატონი ნოდარ ნათაძე.

გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარის მოადგილესთან ბატონ გაიოზ როგავასთან, რომელიც კენჭს იყრის №8 საარჩევნო ოლქში.

**— თქვენი აზრით, რა განსხვავებაა 11 ოქტომბრის არჩევნებსა და 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებს შორის?**

— თუ ტექნიკურ მხარეს არ შევეხებით, განსხვავება ძირითადად ამომრჩეველთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია. გრძნობისმიერი ენთუზიაზმი მაშინ მეტად ძლიერი იყო. 1990 წლის შემოდგომაზე ამომრჩეველის ცნობიერება მკვეთრად ნეგატიურად იყო დამუხტული არსებული ვითარების მიმართ; უფრო ზუსტად, ნეგატიური იყო საზოგადოებრიობის საერთო განწყობა. ასეთი ფსიქოლოგიური მდგომარეობის დროს ადამიანმა იცის (გრძნობს) რა არ უნდა და მოქმედებს შესაბამისად (პოზიტიური მოტივაცია სუსტია). 1990 წლის არჩევნებში უმრავლესობას არ აწყობდა და არ უნდოდა არსებულ მდგომარეობასთან ( სახელმწიფოებრივი, ეროვნული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა) შეგუება, უმცირესობას კი არ აწყობდა და არ უნდოდა არსებული სიტუაციის ცვლილება, მით უფრო თუ ეს ცვლილება მკვეთრი იქნებოდა.

პირველებმა ხმა მისცეს კომუნისტების წინააღმდეგ (ისინი ჩაითვალნენ „მრგვალი მაგიდის“ მომხრეებად), უმცირესობამ კი ხმა მისცა ყველა პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ, ვისაც კი რაიმე ცვლილება ჰქონდა განზრახული (მათი ხმები კომუნისტებმა მიიღეს). მოკლედ, „მრგვალი მაგიდა“ კომუნისტების წინააღმდეგ მებრძოლ ეროვნულ ძალად იქნა მიჩნეული, რაც არჩევნების შედეგებზეც აისახა.

როდესაც „მრგვალი მაგიდა“ ხელისუფლებაში მოვიდა, ობივატელმა კომუნისტები საბოლოოდ დამარცხებულად ჩათვალა, საფრთხის შეგრძნება გაუნელდა, ამდენად მისი გამაღიზიანებელი ნეგატიური ფაქტორი მოიხსნა და აღმოჩნდა, რომ მათ შორის, ვინც „მრგვალ მაგიდას“ მისცა ხმა, წითლების მოწინააღმდეგენი ბევრად მეტნი იყვნენ, ვიდრე საკუთრივ „მრგვალი მაგიდის“ მხარდამჭერები. ეს ცნობილმა მოვლენებმაც დაადასტურა.

სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური კრიზისის ფონზე მიღებული მწარე გამოცდილების შედეგად სადღეისოდ ბევრმა გაიცნობიერა, რომ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა და ხმის მიცემა მოქალაქის უპირველესი და მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობაა.

მოქალაქეობრივი არასრულფასოვნების კომპლექსის ერთგვარი გამოვლენაა ის ფაქტი, რომ მოქალაქეთა გარკვეული რაოდენობა, იმის გამო, რომ ვერ ხედავს პირადი ზემოქმედების შესაძლებლობას მომავალი ხელისუფლების მოქმედებაზე, საერთოდ თავს არიდებს არჩევნებში მონაწილეობას. ისინი არ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ მოქალაქეობრივი ნების გამოვლენით (რაც ხმის მიცემაში გამოიხატება), მათ შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ თვით ხელისუფლების ფორმირებაზე. ამ კატეგორიის ამომრჩეველთა ხმა სწორედ პროგრესულ ძალებს აკლდებათ, ამიტომ თავიანთი პასიურობით ისინი რეტროგრადულ-ძალების გამარჯვებას უწყობენ ხელს. ეს კი შესაძლოა, კატასტროფის ტოლფასი აღმოჩნდეს. პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში კიდევ უფრო დიდია. ამდენად, მათი უმოქმედობის მოტივაცია გაუმართლებელია.

ცალკე თემაა პოლიტიკული მოტივით ბოიკოტის მომხრეთა პოზიცია, რომელიც პირადად ჩემთვის მიუღებელია, მაგრამ ადამიანურად გასაგებია.

მოქალაქეთა მესამე ჯგუფი მივა საარჩევნო უბნებთან, მაგრამ 11 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეთა უმრავლესობა წინა არჩევნებისგან განსხვავებით ვინმეს (რაიმეს) წინააღმდეგ კი არ მისცემს ხმას, არამედ შეეცდება მისი პოლიტიკური მრწამსისა და პოლიტიკური ორიენტაციის გამომხატველი პარტია, ბლოკი თუ პიროვნება ამოირჩიოს და მას დაუჭიროს ხმარი.

რა თქმა უნდა, ბოლომდე გაცნობიერებულ არჩევანს უმრავლესობა ამჯერადაც ვერ გააკეთებს. მასა როგორც წესი, განწყობის მიხედვით მოქმედებს, ოღონდ მიუხედავად არსებული ვითარების, მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებისა, მის მოქმედებას ამჯერად პოზიტიური მოტივაცია განსაღვრავს.

**— როგორია თქვენი პროგნოზი მომავალი არჩევნების თაობაზე?**

— ძირითადი წინასაარჩევნო განწყობა, რომელიც დღეისათვის სუფევს საზოგადოებაში და რომელიც 11 ოქტომბრისათვის კიდევ უფრო განმტკიცდება, არის „სტაბილურობის ნოსტალგია“. ის, თუ როგორ გარდატყდება ამომრჩეველთა უმრავლესობის ცნობიერებაში ეს განწყობა, ბევრად განსაზღვრავს არჩევნების ბედს.

წარმატებას მიაღწევს ის პოლიტიკური ძალა, რომელიც დაარწმუნებს ამომრჩევლებს, რომ მას სხვებზე მეტად ძალუძს უმოკლეს ვადაში მიაღწიოს სტაბილურობას ქვეყანაში. აქ დემაგოგებისათვის ფართო ასპარეზი იშლება.

დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც ირგვლივ ასეთი უწესრიგობა და ქაოსია, ადამიანთა გარკვეული რაოდენობა კომუნისტების დროინდელ საზოგადოებრივ სტაგნაციას სტაბილურობის ნიმუშად აღიქვამს (სხვა ეტალონის უქონლობის თუ არცოდნის გამო) და გამოსავალს წითლებისათვის ხელისუფლების დაბრუნებაში ხედავს. მოქალაქეთა ამ არცთუ ისე მრავალრიცხოვან ჯგუფს ვერც ზოგადი განათლების მაღალ დონეს და ვერც პოლიტიკური აზროვნების მაღალ კულტურას ვერ დავაბრალებთ. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რაღაც პირველყოფილი თვითორგანიზებისა და წინამძღოლისადმი მორჩილების მიდრეკილება ნაძის სახელით სპეკულაციის შესაძლებლობა. თქმულის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ მას შემდეგ რაც ბ-ნ ე.შევარდნაძემ მოხსნა თავისი კანდიდატურა ბლოკი „მშვიდობის“ სიიდან გაზეთ „დემოკრატიულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ ბლოკის სიაში მისი გვარი თავში აღმოჩნდა. ეტყობა „დაავიწყდათ“ ან „ვერ მოასწრეს“ამოღება. თუმცა, მას შემდეგ, რაც ბ-ნი ე.შევარდნაძის აღნიშნულ ბლოკში მოხვედრამ უარყოფითი რეაქცია გამოიწვია საზოგადოებაში, განსაკუთრებით სტუდენტობაში, დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს ბ-ნ ედუარდი ღიად მაინც ვერ გასწევს წითლების პროპაგანდას თავის ავტორიტეტის შეულახავად, რასაც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, იგი არ დაუშვებს. ასეთ პირობებში კი წინასაარჩევნო კამპანია გამოააშკარავებს, ან ისე წარმოაჩენს, რომ „იგი სხვაა“, ხოლო წითლები სულ სხვანი არიან. თუ ასეთი გაშიჯნვა ამომრჩეველის ცნობიერებაში დაფიქსირდა, მაშინ წითლების შანსი პროპორციული სისტემით წარმატების მიღწევისა მკვეთრად დაეცემა.

რაც შეეხება მაჟორიტარულ ოლქებს (84 მანდატი). იმის გათვალისწინებით, რომ რაიონებში ყოფილი კომუნისტური სტრუქტურები, თუმცა სხვა სახელით და ნაწილობრივ განახლებული შემადგენლობით, აღდგენილია და რომ მათი ფინანსური შესაძლებლობები კონკურენტებისას ბევრად აღემატება, შეიძლება ითქვას, წითლებს აქვთ საკმარისი შანსი მიაღწიონ საგრძნობ შედეგებს.

მიუხედავად ჩემი ასეთი ერთი შეხედვით პესიმისტური პათოსისა, იმედი მაქვს, რომ ახალ პარლამენტში უფრო მეტი პროგრესული ძალა იქნება, ვიდრე წინანდელში იყო.

**— როგორ აფასებთ პარლამენტის თავმჯდომარის საყოველთაო პირდაპირი წესით არჩევას და როგორ გგონიათ, რომელ პოლიტიკურ ძალებს დაეყრდნობა ბატონი ე.შევარდნაძე მუშაობაში?**

— მოგეხსენებათ, ასეთი რამ სხვაგან არც მომხდარა და არც მოხდება. ხელისუფლების არჩევითი ორგანო ყველა შემთხვევაში თვით ირჩევს თავის ხელმძღვანელს), არა მგონია ჩვენი გამოცდილება ამ საქმეში ვინმემ გაიზიაროს ან ვინმეს გამოადგეს. ერთი სიტყვით, ეს ფაქტი აბაშის გახმაურებულ ექსპერიმენტივით ჩვენი ცნობიერების საზომი უფროა, ვიდრე მოწინავე პოლიტიკური აზრის ნიმუში.

ეს პოსტი, კონკრეტულად, ერთი პიროვნებისთვის — ბატონ ედუარდ შევარდნაძისთვის არის შემოღებული

საერთო აზრია, რომ ბატონ ე. შევარდნაძეს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე არჩევა, საპარლამენტო არჩევნების ნებისმიერი დებულების ჩატარების შემთხვევაში, მაინც გარანტირებული ჰქონდა.

დაყრდნობით, ალბათ, ის აბლაც არავის დაეყრდნობა. მონოლითურ კომუნისტურ პარტიაში (რომელიც ფაქტიურად ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად მებრძოლი მრავალი კლანური დაჯგუფებისაგან შედგებოდა), ყოფნის დროსაც ე.შევარდნაძე ცალსახად არც ერთ დაჯგუფებას არ წარმოადგენდა. შეიძლება ითქვას, ამ გაგებით ის მაშინაც ზეპარტიული პოლიტიკური მოღვაწე იყო.

ეს საშუალებას აძლევდა და აძლევს, ყოველ ჯგუფის წარმატება თუ მარცხი თავისი ინტერესების შესაბამისად გამოიყენოს. მისი, როგორც დიდი პოლიტიკოსის თვისებები და უნარი, გააკეთოს სწორი არჩევანი კი ნიშნავს,რომ მას ძალუძს უზშირესად საკუთარი და საქმის ინტერესები ერთმანეთს დაამთხვიოს. ბოლო წლებში მოპოვებული უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტი, სწორუპოვარ პროფესიონალიზმთან და შრომისუნარიანობასთან ერთად კი იმის გარანტია, რომ ნებისმიერი გამარჯვებული ძალისათვის ის, როგორც სახელმწიფოს მეთაური, არათუ სასუფევლი, არამედ უალტერნატივო და შეუცვლელი პიროვნება არის. ჩვენი დღევანდელობაც ამის დადასტურებაა.

თქმული სულაც არ ნიშნავს, რომ მას არ ჰქონდეს საკუთარი, მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სახე — პირიქით. ბოლო წლებში ის უკვე ცალსახად აღიქმება დასავლეთში, როგორც დემოკრატიული პროგრესული ძალების წარმომადგენელი. 1985 წლიდან მას არაერთხელ გამოუთქვამს ხაზგასმით თავისი სიმპათიები პროგრესული პოლიტიკური ძალებისადმი (სსრკ-ს მასშტაბით) ზოგადად, მაგრამ ამ ძალების ნაადრევი დაკონკრეტების გარეშე. თუმცა, ყველაზე კრიზისულ მომენტში ის დემოკრატთა ბარიკადებზე აღმოჩნდა.

თითქმის იგივე მეორდება ჩვენთანაც ბატონ ე. შევარდნაძის ზეპარტიულობა მისი პოლიტიკური სიძლიერის ერთ-ერთი მთავარი საყრდენია. ეს საყრდენი მცირე ხნით შეირყა მაშინ, როდესაც მისი გვარი ერთ-ერთი ბლოკის სიაში მოხვდა. განსაკუთრებით უარყოფითი რეაქცია ხალხში ამ ფაქტმა აღნიშნული ბლოკის სპეციფიკური პოლიტიკური იმიჯის გამო გამოიწვია. მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს შეცდომა მის მიერ სასწრაფოდ გამოსწორდა.

ზოგადად ჩვენთანაც გამოუთქვამს ბ-ნ ედუარდს თავისი დადებითი დამოკიდებულება საქართველოში არსებული პროგრესული ძალების მიმართ. მაგრამ, სახელმწიფო საბჭოში მუშაობითა და პარტიებთან დამოკიდებულებით თუ ვიმსჯელებთ, პროგრესული პოლიტიკური ძალების სასურგებლოდ გაკეთებული კონკრეტული არჩევანი სადღეისოდ არ სჩანს. ეს შეიძლება აიხსნას ორი მომენტით: ან მის მიერ გათავისებული და ჩვენში მიღებული კრიტერიუმები პოლიტიკური ძალის პროგრესულობის განსაზღვრისა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება, ან მისი აზრით პროგრესული ძალები ჩვენში, მოცემული მომენტისთვის, ანგარიშგასაწევ ძალას არ წარმოადგენენ. ორივე შემთხვევა ნაკლებად სახარბიელოა. ღმერთმა ნუ ქნაროს, რომ ბატონ ედუარდს თავისი პოლიტიკური სიმპათიების დაკონკრეტება ხელმეორედაც ბარიკადებზე მოუხდეს...

**— მაგრამ საზოგადოდ მიღებულია, რომ ბატონი ედუარდის საქართველოს დაბრუნება მის მიერ დემოკრატიის მხარეს დასაჭერად გაკეთებული მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია, ანუ მან საქართველო გააკეთა თავისი არჩევანი.**

— პირადად მისი მხრიდან ალბათ ასეა. მე კი მოგახსენებთ ძალებზე, ვისკენაც გადადგა მან ნაბიჯი. მართალია, ძველი ხელისუფლება შეცვლა დაფიქსირდა, როგორც დატატურის დამხობა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ წინა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლთა შორის უკლებლივ ყველა პიროვნება თუ ორგანიზაცია დასავლური დემოკრატიის პრინციპებს იზიარებდა. ზოგერთს, შეგახსენებთ, დემოკრატიული მეტად თავისებური და სპეციფიკური გაგება აღმოაჩნდა. პოლიტიკურ ძალთა დიფერენციაცია ამ მიმართულებით გრძელდება და ეს ბუნებრივი პროცესია. უკვე ამჟამად ყოფილ ოპოზიციის პოლიტიკური სპექტრი უკლებლივ ყველა შესაძლებელ ვარიანტს მოიცავს, ავტორიტარიზმის ფუ იმ ფორმით აღდგენის მოსურნეთა ჩათვლითაც კი. ბატონმა ე.შევარდნაძემ კვლავ უნდა შეარჩიოს მინიმალური ნაბიჯის გადასადგმელად თანაც ისე, რომ ეს ნაბიჯი ეროვნის მომავლისათვის აუცილებელი პოლიტიკის დამკვიდრების ტოლფასად აღმოჩნდეს. ეს შეუძლებელი იქნებოდა თუ იმ ძალებმა, რომლებიც დღეს დემოკრატიული პრინციპების დაცველებად გვევლინებიან და ვისაც დემოკრატია კონიუნქტურული ლოზუნგი არ არის, ხელიდან გაუშვეს პოლიტიკური ინიციატივა. ვიწრო პარტიული ინტერესები უნდა დაეფარ ოთ და აქცენტი შეხების წერტილებზე იქნეს გადატანილი. აუცილებელია შეიქმნას დემოკრატიული ძალების მძლავრი ცენტრისტული გაერთიანება, განსაკუთრებით საპარლამენტო ფრაქციის სახით, რომელიც უზენაესი ველაყოფს დღევანდელი არამდგრადი პოლიტიკური წონასწორობიდან ნმიმდევრულ გადასვლას სტაბილურ მდგომარეობაზე. ჩვენი ბლოკი ოპოზიციური მუშაობა მიმართული ამ მიზნისაკენ, იმედია ჩვენი ძალისხმევა შედეგს მოიტანს.

კობა ლიკლი



# რომ მართლა მოწდეს განახლება...

## (მთავრობის, პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს)

**მოგმართავთ** თქვენ, დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული ყოფიერების მშენებელთა ავანგარდში მყოფ ადამიანებს.

მოგმართავთ, რათა დამატებით მივაქციოთ თქვენი ყურადღება საკითხებს, რომელთა დროული გადაწყვეტა სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს არსებული სოციალური და ეკონომიკური კრიზისის დღევანდელ პირობებში.

ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე მოსული დემოკრატიული ძალების მიერ, რომელთა ღირსეულ ნაწილსაც თქვენ წარმოადგენთ, სოფლის აგრარულ სფეროში გადადგმული იქნა მნიშვნელოვანი ნაბიჯი მიწის კერძო მფლობელობაში გადაცემის სახით.

ეჭვი არ არის, რომ დიდი ხნის ნანატრი ეს რეფორმა, სულ მოკლე ხანში მოგვცემს სოფლის პროდუქტების სათანადო სიუხვეს. მაგრამ მიუხედავად ამისა, საჭიროა ითქვას, რომ საზოგადოების სოციალური კრიზისი გარდაუვალი იქნება, თუ სასწრაფოდ არ გატარდა ასეთივე ეფექტის მომცემი რეფორმები ეკონომიკის სამრეწველო სფეროშიც, რომელთა მიზანი იქნება ქალაქად ფართო მასშტაბით დაწყებული უმუშევრობის შეჩერება, სამრეწველო პროდუქციის გამომუშავება და შესაბამისად ქალაქსა და სოფელს შორის წარმოებული პროდუქტებით გაცვლითი ოპერაციების უწყვეტი ციკლის განხორციელება, ანუ შიდა რესპუბლიკური კოოპერირება.

მოგეხსენებათ, რომ მრეწველობის სფეროში ამჟამად დასაქმებულია რესპუბლიკის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, რომლის რიცხვი დღეს გაცილებით სჭარბობს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მოსახლეობის რაოდენობას. დღეს რეალურად, ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს შეუძლია შეიცვალოს თავისი საქმიანობის სფერო და მიაშუროს სოფელს. ამავე დროს, მათი უდიდესი ნაწილი სოციალურად დაუცველია. ის კი არა, კარგა ხანია დაწყებულია მრეწველობის სფეროში, და არა მარტო ამ სფეროში (მხედველობაში გვაქვს: კვლევითი, საპროექტო და მსგავსი ორგანიზაციებიც) მომუშავეთა შემცირება მინიმალური საარსებო პირობების უზრუნველყოფის გარეშე, რაც სამრეწველო სექტორში დაწყებული განუკითხაობის მაჩვენებელია, ვიდრე ეკონომიკური კრიზისისა.

თავს უფლება მინდა მივცე მოგახსენოთ მოსაზრებები, რომლებიც ჩემი, როგორც სამრეწველო პროდუქციის კონსტრუქტორისა და შემქმნელის თითქმის ოცდაათწლიანი თეორიული და პრაქტიკული საქმიანობით არის ნასაზრდოები; საქმიანობით, რომლის რეზულტატს (მაქვს საფუძველი ამის თქმისა) მოჰქონდა და ახლაც მოაქვს სარგებლობა საზოგადოებისათვის; საქმიანობით, რომელიც თავისი სიახლის შექმნის უძნელესი პროცესებით მუდამ დაკავშირებული იყო უკომპრომისო და დაძაბულ ბრძოლასთან გაბატონებული ბიოროკრატიულ-ადმინისტრაციული აპარატის წინააღმდეგ.

ამიტომაც ვფიქრობ, რომ ჩემი წარსული თუ აწინდელი საქმიანობით მოპოვებული მაქვს უფლება გამოვთქვა გაკვირვება, როდესაც ვხედავ არა თუ სათანადო ხელშეწყობას, არამედ ჩვენი საქმიანობის დემოკრატიული ლოზუნგებით შენიღბულ დევნას, და გამომდინარე აქედან, ალბათ იმის უფლებაც მაქვს, რომ მოვითხოვო თქვენი სათანადო ყურადღებაც.

საზოგადოებრივ ეკონომიკური თავისუფლების ქვაკუთხედს, როგორც კაპიტალისტური სამყაროს პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესი ანუ მეწარმეობა. სწორედ ასეთ მეწარმეობას კაპიტალისტური სამყაროს კანონმდებლობა სპეციალური კანონებით იცავს, რომელთა შორის ერთ-ერთი მთგანი მსხვილ ბიზნესს რეგლამენტს უწესებს პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის საქმეში მცირე ბიზნესის სასარგებლოდ.

ამა წლის 23 ივნისის „როსიისკაია გაზეტა“, „სტატიაში“ „მცირე ბიზნესმა შვა ტაივანის საოცრება“ გვამცნობს, რომ 20 მილიონიანი ტაივანი წამოიმუშავებს მილიარდიანი ჩინეთის მიერ გამომუშავებული პროდუქციის მესამედს. „საწყის ეტაპზე აქცენტი გაკეთებული იქნა მცირე საწარმოების მხარდაჭერაზე, რომლებიც ახლაც წარმოადგენენ ტაივანის ბიზნესის ძირითად ბირთვს. მხოლოდ ბოლო ათწლეულში მათი რიცხვი გაიზარდა ათჯერ და მეტად. სწორედ მცირე მწარმოებლობა აძლევს ტაივანურ საქონელს შანსს მწვავე კონკურენტულ ბრძოლაში... ამასთან მთავრობა არ თრგუნავს კერძო სექტორს, არამედ კრედიტებისა და მოქნილი საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით სტიმულირებას უწევს მას.“

ამ დროს, ჩვენში, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ყოვლად გაუმართებლად მუხრუჭდება, ასე განსაჯეთ, ჯერ კიდევ კომუნისტური ხელისუფლების დროს დაწყებული, სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება მრეწველობის სფეროში, რაც უთუოდ განაპირობებს მძიმე სოციალურ შედეგებს, განსაკუთრებით დღევანდელ ისტორიულ ეტაპზე, როდესაც უმეტესწილად რეალურად არ ჩანან საზღვარგარეთული ინვესტიციები; არ ჩანან, რადგან მათ, როგორც შემოსვლას ჩვენში, ისე ფრთების გაშლას, არა მარტო პოლიტიკური სტაბილიზაცია სჭირდება, არამედ გარკვეული დროც, რომელიც, მოგეხსენებათ, აღარ ითმენს, კარზე მომდგარი შიმშილობის პირობებში.

საოცარია, რატომ გაძნელდა ასე კვალიფიციური ანალიზის გაკეთება დასავლეთის ეკონომიკური მოდელებისა და ამის საფუძველზე საკუთარი ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და თეორიულად თუ პრაქტიკულად ეფექტური ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, ამავე დროს, იმის გათვალისწინებაც, რომ ჩვენ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზე ვიმყოფებით, რის გამოც ყველაფრის ხელაღებით კალკირებაც არ არის მიზანშეწონილი.

ეჭვი არ არის, რომ უპირველეს პირობად გადასაჭრელ საკითხთა კომპლექსში, რაც მოსალოდნელ ეკონომიკურ ეფექტს მოგვიტანს, არის სწორედ დემოკრატიული და ცივილიზებული, საგადასახადო ინსპექციის კი არა, არამედ საგადასადო სისტემის შექმნა.

ასეთი სისტემის გარეშე შეუძლებელია ვიქონიოთ წარმატების იმედი ნებისმიერი დონის მეწარმეობაში და შესაბამისად ნორმალურ სახელმწიფო ბიუჯეტის ჩამოყალიბებაშიც.

შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკაში საგადასახადო სისტემა აბსურდულ მდგომარეობაშია.

ახლა საწარმოო ფართზე დაწესებული საიჯარო გადასახადების შესახებ. ამ საკითხში სრული თავისუფლება სუფევს სახელმწიფო ადმინისტრაციის სასარგებლოდ. ასე მაგალითად, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ორიონში“ ერთ კვადრატულ მეტრზე გადასახადი შვიდ მანეთს უდრის. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ამ ქარხანაში ასობით კვადრატული მეტრი საწარმოო ფართი თავისუფალია და ქარხანას არავითარ შემოსავალს არ აძლევს, ისევე, როგორც ათეულობით ძვირფასი იმპორტული ტექნოლოგიური მოწყობილობა. რა კრიტერიუმებიდან ან რა ეკონომიკური გაანგარიშებებიდან გამოდიოდნენ ამ ქარხნის მესვეურები და ეკონომისტები? განსაჯეთ, თვლიან ისინი თავს ვალდებულად ანგარიში გაუწიონ მცირე მეწარმეთა თუ მოიჯარადეთა პროდუქციის რენტაბელობას? ფიქრობენ ეს ადამიანები იმაზე, რომ ასე უმოწყალოდ დაჯარიმებულ მოიჯარადეებს საშუალას უსპობენ დაასაქმონ ასეულობით მათივე უპასუხისმგებლობით გაწირული უმუშევრები და მისცენ მათ საარსებო საშუალება.

ქარხანა „ორიონში“ არსებული საიჯარო მეთოდიკით, რომელიც როგორც ჩანს თბილისში გამონაკლისს არ წარმოადგენს, თუ იჯარით გიწყალობეს, ვთქვათ, რაღაც ორმოცდაათიოდე კვადრატული მეტრი საწარმოო ფართი, კეთილი ინებე და ყოველწლიურად იხადე 350 ათასი მანეთი. ეს მხოლოდ საწარმოო ფართში. ახლა სხვა გადასახადებსაც თუ გავითვალისწინებთ, გამოვა, რომ გადასახადის საერთო მოცულობა მცირე საწარმოსათვის რამდენიმე მილიონზე ნაკლები არ იქნება. როგორც იტყვიან კომენტარი ზედმეტია. ზედმეტია აქ ლაპარაკი დემოკრატიაზეც და თავისუფალ მეწარმეობაზეც. ეს ყველაფერი ძველებური კორუფციის ახლებურ ინტერპრეტაციას უფრო გვაგონებს.

ასეა თუ ისე, ვფიქრობ საკმაოდ დასაბუთებულად ვლინდება უნიკალური საგადასახადო სისტემის არსებობა საქართველოში, როდესაც საწარმომ სახელმწიფო ბიუჯეტს იმაზე მეტი უნდა ჩაურიცხოს, ვიდრე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციით მიიღებს.

ამის შემდეგ მოდით და კვლავ გავიკვირვოთ ჩრდილოეთი ეკონომიკის არსებობა. აქამდე ვამბობდით, რომ ასეთი სიმახინჯე სჭირდებოდა საბჭოთა ბიუროკრატიულ აპარატს. მაგრამ ახლა რატომ არ ველევით მას?

საქართველოს ეროვნულ პრესას საგადასახადო ინსპექციის ან სახელმწიფო კონტროლის პალატის შექმნა კი არა, უფრო უპრიანი იქნებოდა, ცივილიზებული გადასახადების შემოღება ეხარებინა თავისი მკითხველისათვის.

ჯერ ნორმალური სამართლებრივი პირობები შევუქმნათ თავისუფალი ქვეყნის თავისუფალ ადამიანებს და მერე ვაკონტროლოთ, თუ კი არ გვსურს, რომ ლაფში ამოვსვაროთ მათი ადამიანური ღირსებები, როგორც ამას ყოფილი საბჭოთა მაკონტროლებელი ორგანოები სჩადიოდნენ ახლო წარსულში. მაშინ არც ინსპექციის მუშაკების შეიარაღება დაგვჭირდებოდა ავტომატებით.

ერთ-ერთი პირობა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისათვის არის წარმოების საშუალებების ანუ ტექნოლოგიური მოწყობილობების გადაცემა ცალკეულ მეწარმეებისათვის ან მეწარმეთა ჯგუფებისათვის. მხედველობაში არა გვაქვს მაინცა და მაინც მათი პრივატიზაცია, არამედ იჯარით (არენდით) გადაცემა ნებისმიერი ვადით. მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ ბევრ საწარმოში არასრული დატვირთვით მუშაობს, ზოგჯერ კი წლობითაცაა გაჩერებული ტექნოლოგიური მანქანადანადგარები. მიუხედავად ამისა მაინც არ გადასცემენ მათ იმ სპეციალისტებს, რომელთაც უნარი შესწევთ შექმნან და აწარმოონ ესა თუ ის პროდუქცია.

უნდა ითქვას, აგრეთვე, ზოგიერთების მტკიცების მიუხედავად, რომ მიმდინარეობს ფარული პრივატიზაციის პროცესი, და როგორც მოსალოდნელი იყო, არა იმათ მიერ, ვისაც პროდუქციის შექმნა შეუძლიათ და აქვთ გარკვეული სამეწარმეო პროგრამა. ამრიგად, ადგილი აქვს სოციალური უსამართლობის აღორძინებას ახალ ეროვნულ ნიადაგზე. ამ საკითხში მავანი სამეურნეო ხელმძღვანელები მარჯვედ იყენებენ შეგნებული თუ შეუგნებელი დეზინფორმაციისათვის საზღვარგარეთული ინვესტიციების არსებულ პერსპექტივებს. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, გასაგები მიზეზების გამო, ინვესტიციები იგვიანებენ; იგვიანებენ, თუნდაც იმიტომ, რომ მათი მოქცევა კანონზომიერების რაიმე ჩარჩოებში თითქმის შეუძლებელია. ამავე დროს, განა ორი აზრი უნდა არსებობდეს იმაზე, რომ საზღვარგარეთის პარტნიორობა მხოლოდ დანამატი უნდა იყოს აღგილობრივი ძალებით შექმნილი ეროვნული სამეწარმეო სისტემისა? ხომ არ იმალება ამ სიტუაციის უკან, ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივი ავტოკრატიის ნაცადი წესი: იღვაწოს და ჰპოვებდეს პირად სარგებელს მონოპოლისტური მონსტრის სამსახურში?

მოგეხსენებათ, რომ ეკონომიკის შესახებ თეორიული და პრაქტიკული საკითხების ირგვლივ არგუმენტები და იდეები ამოუწურავია. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს შევეხეთ. თუმცა გვიძნელდება არ შევეხოთ კიდევ ერთ მათგანს. ეს არის არსებული სავაჭრო ქსელის სახელმწიფო სისტემა, სადაც განსაკუთრებით სოციალისტურად გამოიყურება კვლავ არსებული რესპუბლიკური და საქალაქო საბითუმო ბაზები და სამმართველოები. მაგალითისათვის აღვნიშნავთ, რომ რუსეთის მთავრობამ ეს ორგანიზაციები გააუქმა. ჩვენთან ჯერჯერობით ვერ ხერხდება ამ ბიუროკრატიული შუალედური რგოლების გაუქმება მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. ეს მაშინ, როდესაც ისედაც მძლავრობს სოციალისტური რეჟიმის დროს ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობრივი ეკონომიკური მექანიზმი, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სხვადასხვა სისტემაში არსებობის სახით.

ათეული წლების მანძილზე ეგრეთწოდებული საბჭოთა ადამიანი სწორედ იმიტომ იყო მონა, რომ ფაქტობრივად მოკლებული იყო თავისუფალი შრომის უფლებას, ამას მე მარეაპარაკებს არამარტო ზემოთ მოყვანილი თეორიული მოსაზრებანი წარმოების ეკონომიკის სფეროში, არამედ პირადი საინჟინრო პრაქტიკაც ახალი პროდუქციის ათვისებისა და გამოშვების სფეროში; სფეროში, რომელიც თავისთავად საზოგადოებრივი თუ პირადი საქმიანობის პროგრესულ პროცესს წარმოადგენს. არ მინდა დავიჯერო, რომ მომძლავრებული დემოკრატიის ძალისხმევა შეუძლია ჩაახშოს შეგნებულ, თუ შეუგნებელ ბიუროკრატთა დესტრუქციულ ძალებს. თუმცა ზოგჯერ ამის გაფიქრების საფუძველს იძლევა დღევანდელობის რეალური სინამდვილე და ცხოვრებისეული კონკრეტული მოვლენები.

საქმე იმაშია, რომ მრავალწლიანი საკონსტრუქტორო და არც ისე უსარგებლო საწარმოო გამოცდილების მქონე ინჟინერთა ჯგუფმა, საწარმოო გაერთიანება „ორიონში“ ჯერ კიდევ 1989 წელს, ერთ-ერთმა პირველებმა ჩამოვაყალიბეთ საარენდო მცირე საწარმო იურიდიული პირისა და დამოუკიდებელი საფინანსო ანგარიშსწორების უფლებით. პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს მოვახერხეთ კომუნისტური რეჟიმის დროს, მაშინ როდესაც მეორე წელია საშველი აღარ დაადგა, უკვე არსებული ორმხრივი ხელშეკრულების თანახმად, ქარხნის ადმინისტრაციის მიერ მცირე საწარმო ფართისა და თითო-ოროლა ტექნოლოგიური დანადგარის გადმოცემას. არადა, ჩვენს მიერ ჯერ კიდევ გასულ წელს საკუთარი ძალებით დაპროექტდა, ტექნოლოგიურად მომზადდა და გამოშვებულ იქნა საყოფაცხოვრებო დანიშნულების პროდუქციის სამრეწველო პარტია, რომელიც თავისი მაჩვენებლებით არ ჩამოუვარდება საერთაშორისო სტანდარტებს. ამ პროდუქციის წარმოება დაასაქმებს ათეულობით ადამიანს და მისცემს მათ გარკვეულ მატერიალურ შემოსავალს. არ არის გამორიცხული აღნიშნული პროდუქციის ექსპორტიც.

ამ დღეებში, ამჯერად არასახელმწიფო საააქციონერო ორგანიზაციის ფინანსური დახმარებით (არ ვასახელებთ, რადგან წინასწარ არ შეგვითანხმებია) ჩვენს მიერ ათვისებულ იქნა კიდევ ერთი საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაწარმი ( სამადგილიანი ელექტროდამაგრძელებელი), რომელიც ასევე გამოირჩევა თავისი საექსპლუატაციო და სამრეწველო მაჩვენებლებით.

მიგვაჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული საიჯარო ხელშეკრულებისა და ჩვენში უკვე მოქმედი სამეწარმეო საქმიანობის საკანონმდებლო აქტების საფუძველზე ქარხნის ხელმძღვანელობა დიდი ხანია ვალდებულია გადმოგვცეს ზემოთ მოხსენიებული, ქარხნისათვის უმნიშვნელო რაოდენობით , საწარმოო ფონდები. მითუმეტეს, რომ მათი უდიდესი ნაწილი კარგა ხანია, რაც უქმ მდგომარეობაშია და არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. მალე ქარხნის კორპუსებს შენობათა კედლებიღა თუ შემორჩა, რადგან მომუშავეთა უმრავლესობა შემცირებულია ან უხელფასო შვებულებაშია გაშვებული, ხოლო არსებული ტექნოლოგიური დანადგარებიდან მხოლოდ მოგონებაღა რჩება. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ქარხნის დირექცია არ გრძნობს სათანადო პასუხისმგებლობას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს, როგორც ქარხნის, ისე მასთან არსებულ, და მათ შორის, ჩვენს საარენდო მცირე საწარმოზეც, რომელსაც ამის გამო არ ეძლევა საშუალება გამოუშვას ასეულ ათასობით მანეთის ხალხისთვის საჭირო სამრეწველო პროდუქცია, აგრეთვე, დაასაქმოს და მატერიალური სარგებლობა მოუტანოს ათეულობით, ხშირ შემთხვევაში, თითქმის ულუკმაპუროდ დარჩენილ ადამიანებს.

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ორიონის“ ადმინისტრაცია, რომელიც საქართველოში არსებულ სხვა საწარმოთა შორის, განსაკუთრებით კი საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა შორის, მაინცა და მაინც გამონაკლის მოვლენას არ უნდა წარმოადგენდეს, დღევანდელი თუ ხვალინდელი დღის საქართველოს ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნათა ფონზე კანონგარეშე ორგანიზმად გამოიყურება.

ყოფილი კომუნისტებისა თუ გამსახურდიას პოსტკომუნისტური რეჟიმის დროს მოსული ქარხნის ეს ხელმძღვანელები, არათუ ცდილობენ განიწმინდონ ახლო წარსულის ბიუროკრატიული ცოდვებისაგან და ხელი შეუწყონ დემოკრატიული ეკონომიკის მოთხოვნების დამკვიდრებას ეროვნული მრეწველობის სფეროში, არამედ პირიქით, შეგნებულად თუ შეუგნებლად საქმე მიჰყავთ ცალკეულ სპეციალისტთა (მხედველობაში მაქვს ჩვენი მაგალითიც) სამეწარმეო ინიციატივების ყოველნაირ დათრგუნვამდე. ხოლო სამრეწველო ობიექტის ასეთ განუკითხავ მდგომარეობაში მოყვანა, რასაც დღევანდელ დღეს აქვს ადგილი, ან ამ ხელმძღვანელების ორგანიზაციული უუნარობის მაჩვენებელია ან გამიზნული მოქმედება პირადი ანგარების პრიმიტიულ ფორმებში დასაკმაყოფილებლად.

ქარხანაში, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, ისევე, როგორც სხვა სამრეწველო ქარხნებში, საწარმოო ფონდებს ფლობდნენ და ფლობენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც პირადი ამბიციების გარდა სხვა თვისებები არ გააჩნიათ, რათა ამ ფონდებმა საჭირო ეკონომიკური ეფექტი მოგვცენ.

მოგიწოდებთ თქვენ, საქართველოს ახლანდელი, თუ მომავალი ეროვნული ხელისუფლებისა და პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი პარტიების ლიდერებს, აღადგინოთ სოციალური სამართლიანობა, რომელიც დასამარებული იყო ყბადაღებული პროლეტარიატის დიქტატურის ნიღბით, და ნაწილობრივ მაინც გადასცეთ შრომის საწარმოო საშუალებები იმ ადამიანებს, რომლებიც მათ სხვათა კვლავ დამონებისათვის კი არ გამოიყენებენ, არამედ ადამიანთა შორის პროგრესული ეკონომიკური ურთიერთობების დასამკვიდრებლად, აგრეთვე, იმისთვის, რისთვისაც შრომის ეს საშუალებები არიან შექმნილნი: ემსახურონ საზოგადოებას და მისცენ მას რაც შეიძლება მეტი მატერიალური დოვლათი.

ჩვენ შორსა ვართ პროლეტარული გათანაბრების იდეისაგან, მაგრამ გვინდა შევეწინააღმდეგოთ იმ მოვლენასაც, როდესაც ყოფილი თუ ახალი ბიუროკრატია ცდილობს, და ხშირად წარმატებითაც, ამოეფაროს კერძო საკუთრების იდეებს, სინამდვილეში კი ანხორციელებს მტაცებლურ აქციებს საწარმოო ფონდებისა თუ სხვა საზოგადოებრივი სიმდიდრეების დასაუფლებლად. შრომის საშუალე-

(გაგრძელება მე-8 გვ.)

ბათა პირად საკუთრებაში მიღება დასწრებაზე ან თანადგომაზე უფლებებზე კი არ უნდა იყოს დამოკიდებული, არამედ ცივილიზებულ ადამიანთა დემოკრატიულ აზროვნებას უნდა ეფუძნებოდეს, რათა არ განმეორდეს ის ავადსახსენებელი მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა იმპერიის სინამდვილეში: ადამიანთა უმრავლესობისათვის თავისუფალი ცხოვრების, შრომისა თუ აზროვნების წარმართვა.

პუბლიცისტური გამოცდილების უქონლობამ თუ საკითხის სირთულემ სათქმელი გამიგრძელა და შეიძლება გააბუნდოვნა კიდეც. ამიტომ თეზისების სახით ჩამოვაყალიბებ, ჩემი აზრით რამდენიმე საჭირბოროტო და აქტუალურ საკითხს:

1) ყველა სახის გადასახადი წარმოებულ პროდუქციაზე საერთო მოცულობაში დაყვანილ უნდა იქნეს 20—25 პროცენტამდე, ხოლო მეიჯარეებს მნიშვნელოვნად შეუმცირდეთ საიჯარო გადასახადებიც.

საქმიანობის პირველ წელიწადს ყოველგვარი გადასახადებისაგან უნდა განთავისუფლდნენ სახელმწიფო საწარმოებთან შექმნილი არასახელმწიფო საწარმოებიც მინისტრთა კაბინეტის № 286 დადგენილების საპირისპიროდ, რადგან მათ უხდებათ განსაკუთრებით არახელსაყრელ პირობებში მუშაობა; ხოლო მეორე წელს გადაიხადონ დადგენილი გადასახადის ნახევარი.

2) ამჟამად არსებული ქარხნების, განსაკუთრებით ყოფილი საკავშირო დაქვემდებარების ქარხნების ხელმძღვანელები და მათდამი დაქვემდებარებაში მყოფი ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული ჯგუფები წარმოადგენენ არაკანონიერ სტრუქტურებს, რომლებიც უმეტესწილად დესტრუქციულ საქმიანობას ეწევიან.

ამასთანავე, სამრეწველო ქარხნებში, რომელთა შორის გამონაკლისს არც ჩვენი ქარხანა წარმოადგენს, სრულებით არ იგრძნობა რესპუბლიკის წამყვანი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი პარტიების ზეგავლენა დემოკრატიული ეკონომიკის დანერგვისა და მართვის ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული მეთოდების აღმოფხვრის საქმეში.

საჭიროა აღნიშნულ ქარხნებში შეიქმნას დრობით ადგილობრივი ეკონომიკური რეფორმების ხელშემწყობი კომისიები, რომლებშიც შევლენ საიჯარო (საარენდო), კოპერაციული და სხვა სახის მცირე საწარმოთა, აგრეთვე, რესპუბლიკის წამყვან პარტიათა და საზოგადოებრივ გაერთიანებათა წარმომადგენლები; ხოლო იქ არსებული ადმინისტრაციული სამსახურები გადაკეთდნენ საკორდინაციო სტრუქტურებად. ამავე დროს, აღნიშნული ქარხნები მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა დაიყოს მცირე და საშუალო საწარმოებად ძირითადი საწარმოო ფონდების გადაცემის სხვადასხვა ფორმების გამოყენებით (იჯარა, იჯარა ქონების შემდგომი გამოსყიდვით, პრივატიზება უსასყიდლოდ, აუქციონით, შესყიდვით, განვადებით და სხვა).

ამასთანავე, უპირატესობა უნდა მიეცეს პირველ რიგში სამეწარმეო საქმიანობის ადგილობრივ მსრუველებს და კონკრეტული სამეწარმეო პროგრამების მქონე პირებს.

3) სამთავრობო დადგენილების სამინისტროებმა დაავალდებულონ ზემოთ აღნიშნული საკორდინაციო ჯგუფები ყოველნაირად შეუწყონ ხელი თავისუფალ მეწარმეებს ნედლეულის მომარაგებით, ტექნოლოგიური მოწყობილობათა აღჭურვით, სატრანსპორტო საშუალებათა გამოყოფით, პროდუქციის სარეალიზაციო გადაზიდვით და სხვა საკითხების მოგვარებით, რომლებიც პროდუქციის ათვისებისა და დანერგვის პროცესში წარმოიშვება. მავალთა მოსალოდნელ შეკითხვაზე, თუ რა საკითხებს გადაწყვეტენ თავისუფალი მეწარმეები, „უპასუხებთ: ყველა სხვა უამრავ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტასაც ამაოდ ცდილობენ ამჟამინდელი სამეურნეო ადმინისტრაციები ძველი ეკონომიკური სისტემის შეუქცევადი რღვევის გამო.

საჭიროა ყველამ გავიაზროთ ის ფეთქებადი ფაქტორი, რომ ქალაქში გამონთავისუფლდა და კიდევ გამონთავისუფლდება ადამიანთა დიდი მასები, რომელთა უმრავლესობის დასაქმება ძირითადად შეიძლება მხოლოდ მცირე და საშუალო მეწარმეობით. ამდენად, საჭიროა ქარხნების ახლანდელმა ხელმძღვანელებმა კი არ დევნონ, არამედ ხელი შეუწყონ თავისუფალ მეწარმეობას.

4) საწარმოო ფონდების განსახელმწიფოებრიობა და პრივატიზაცია უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ რომელიმე სამთავრობო ორგანოს მეშვეობით, რათა გამორიცხოს მოსალოდნელი სოციალური უსამართლობა; ისევე, როგორც ყოველგვარი შემთხვევითობა შრომის საშუალებების კერძო მფლობელობაში გადაცემის პროცესში. რათა ქაღალდზე არ დარჩეს ამ საკითხში მიღებული დემოკრატიული კანონები, საჭირო იქნება საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლების მოწვევა რეგიონალურ, ტერიტორიალურ, საუწყებო თუ სხვა ნიშნით შექმნილ საპრივატიზაციო კომისიებში.

აუცილებლად მიმაჩნია, აგრეთვე, ყველა იურიდიულად რეგისტრირებული პარტიის წარმომადგენლების მოწვევაც ნახსენებ კომისიებში.

საპრივატიზაციო ქონების მისაღებად კონკურსში მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონდეს ყველა სრულწლოვან მოქალაქეს, პირველ რიგში კი უშუალოდ საპრივატიზაციო ობიექტზე მომუშავე პირებს, რომელთაც გააჩნიათ საპრივატიზაციო ქონების ფლობის დასაბუთებული არგუმენტები. ამავე დროს სამართლიანი იქნება, რომ შეთავაზებულ იქნას ამ ქონების მიღების ფართო სპექტრი, როგორიცაა: უსასყიდლოდ გადაცემა, დაუყოვნებლივ შესყიდვა, განვადება და სხვა.

საპრივატიზაციო კონკურსში უნდა ჩაერთოს უკლებლივ საქართველოში არსებული ყველა საწარმო, რამეთუ არა აქვს არავითარი გამართლება თუნდაც ერთი ადამიანის დატოვებას საპრივატიზაციო პროცესის გარეშე.

ასევე არ უნდა გამოიწვიოს კამათი იმ მოსაზრებამ, რომ შრომის საშუალებათა პრივატიზაციის პროცესი, ხელოვნურად დათრგუნული ბოლშევიკური ძალადობის წყალობით საუკუნის დასაწყისში, უნდა დაიწყოს მხოლოდ საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ.

5) თუ გვინდა, რომ რაც შეიძლება დროულად დავამკვიდროთ დემოკრატიული ეკონომიკური სტრუქტურები, საჭირო ყველა და მათ შორის სამთავრობო ორგანოებიც პირველ რიგში, ზრუნავდნენ შექმნან არასახელმწიფო საწარმოთა ხელშემწყობი პირობები სამეწარმეო საქმიანობის ყველა ასპექტში, მათ შორის, მასალებით მომარაგების საკითხშიც. ეს მოთხოვნა პირველ რიგში უნდა ვრცელდებოდეს მომარაგების სახელმწიფო დეპარტამენტზე სამეწარმეო საქმიანობაში მისი წილობრივი მონაწილეობის გათვალისწინებით.

6) კერძო მეწარმეობისა თუ მთლიანად საბაზრო ეკონომიკის დროულად დასამკვიდრებლად საქართველოში, რაც არსებული ეკონომიკური კრიზისის შეჩერების აუცილებელ გარანტს წარმოადგენს, უმთავრეს პირობად მიგვაჩნია სამეწარმეო, კოპერაციული, სააქციონერო და სხვა ამის მსგავსი კავშირებისა და გაერთიანებების წარმომადგენლების მონაწილეობა მომავალ საპარლამენტო არჩევნებში.

7) საჭიროა საქართველოს ტელევიზიამ, როგორც ყველაზე მეტად ქმედითმა საინფორმაციო ორგანომ, მეტი ადგილი დაუთმოს მეწარმეო საკითხებს. მისახლოებ დიდ ნაწილს ნაკლებად ესმის, როგორ იქმნება და იწარმოება თუ ის სამრეწველო პროდუქტი. საჭიროა არა მარტო ეცნობოს ... რეტიკოსებს, ... სპეციალისტებს საუბრებისა და ... საზრებათა სისტემატური მოსმენა, გაანალიზება.

ამ მხრივ რატომ არ უნდა ... მოვიყენოთ რუსეთის ტელევიზ... გამოცდილება?

8) საჭიროა, თუ არ გაუქმდ... ბა, საკორდინაციო ცენტრებად ... ინც გადაკეთდნენ საბიუროები ... ბი და სავაჭრო სამმართველოებ... ხოლო სავაჭრო მაღაზიები გად... ვიდნენ თვითდაფინანსებაზე, ... თა აღმოიფხვრას ბიუროკრატ... ლი რგოლი პროდუქციის მწარმ... ებელსა და პროდუქციის მიმღ... შორის.

დაბოლოს, რესპუბლიკა... სამწუხაროდ, მოსალოდნელზე ... ტი აღმოჩნდა დესტრუქციო... ელემენტები, რომლებიც შეგნებ... ლად თუ შეუგნებლად აბრკოლ... ბენ ეკონომიკის პროგრესულ ... ვითარებას.

ვფიქრობ, რესპუბლიკის ... ლიტიკური პარტიები, საზოგად... ებრივი გაერთიანებები და კა... რები მოვალენი არიან უფრო ... ტიურად ჩაერიონ ქვეყნის ეკონ... მიკური და სოციალური განახ... ების პროცესში. სწორედ ეს ქმ... ება იქნებოდა მნიშვნელოვანი წ... მძღვარი ოქტომბრის მომავ... საპარლამენტო არჩევნებისათ... რასაც მადლიერი ამომრჩევ... უსათუოდ დაინახავს და თავ... მიაგებს.

**31 ივლისი, 1992 წელი**

**რაულ წერეთელ...**

**თბილისის ს. გ. „ორიონის“ საკონსტრუქტორო-საარენდო საწარმოს „კონსტრუქტორი-90“ ხელმძღვანელი, ამავე გაერთიანების საკონსტრუქტორო ბიუროს უფრ...**

# რომ მართლა მოხდეს განახლება...

## ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს

(დასაწყისი მე-7 გვ.)


**ფირმა «მარიო»**

**გიწვევთ სამოგზაურო ჩინეთში**

**ბათუმი — საბაროვსკი — ხარბინი — ბათუმი**

მოგზაურობის ღირებულებაა — 190 ამერიკული დოლარი და 20 ათასი მანეთი, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ხარჯები ბათუმიდან ბათუმამდე.

გარდა ამისა ჩვენთან შეგიძლიათ, შეიძინოთ

საგზურები შემდეგ კურორტებზე:

ქობულეთი, ბორჯომი, ფასანაური, ციხისძირი.

ჩვენი მისამართია:

**ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 45, მე-13 სართული. პირველი ოთახი (მეტრო „დელისთან“ — „საქსოფმშენის“ მაღლივი შენობა).**

**ვიყიდით** სამამულო წარმოების პიანინოს.

დარეკეთ ტელეფონზე:

**29-48-60**

**ვყიდი** ახალ რუმინულ სამზარეულოს „ნონა“

(აქვს კუთხის სავარძელი)

დარეკეთ:

**62-00-67**



**ქართული ლიტერატურის მასწავლებლებისა და XI კლასის მოსწავლეთა საყურადღებოდ**

სერიით „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები“ გამოსულია ნოდარ გრიგალაშვილის წიგნი

**„ნიკო ლორთქიფანიძე“.**

წიგნში პირველწყაროებზე დაყრდნობით წარმოდგენილია ნიკო ლორთქიფანიძის ვრცელი ბიოგრაფია. ავტორი ორიგინალურად განიხილავს მწერლის ორ საპროგრამო ნაწარმოებს „თავსაფრიანი დედაკაცი“ და „ტრაგედია უგმიროთ“.

წიგნის ღირებულებაა 20 მან.

**ჩვენი მისამართია:** თავისუფლების მოედანი. პუშკინის ქ.5; ტ. 93-18-41, 93-19-41



# თბილისის ეკონომიკური უნივერსიტეტი

**აცხადებს 1992/93 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:**

1. ხელოვნების ექსპერტ-მენეჯერი;
2. დიზაინისა და ხის ნაკეთობათა მხატვრული დამუშავების ექსპერტ-მენეჯერი;
3. მენეჯერი მეცნიერების და ტექნიკური შემოქმედების სფეროში;
4. მენეჯერი განათლების და ჯანმრთელობის სფეროში;
5. ინფორმაციული სერვისის მენეჯერი (ინფორმაციის მასობრივ საშუალებათა პროდიუსერი);
6. საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კავშირების მენეჯერი;
7. სამართალმცოდნეობა (საერთაშორისო სამართალი);
8. საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების მენეჯერი;
9. საერთაშორისო საფინანსო-საბანკო საქმის მენეჯერი;
10. საბირჟო საქმე;
11. მარკეტინგის მართვა;
12. მცირე ბიზნესის ორგანიზაცია;
13. უცხო ენები (ეკონომიკური განხრით — ინგლისური, ფრანგული, გერმანული, თურქული, ირანული, არაბული);

უნივერსიტეტში ყველა სპეციალობაზე სწავლა 5 წელია. უნივერსიტეტს აქვს დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებები.

უნივერსიტეტის სასწავლო გეგმები შედგენილია საერთაშორისო სტანდარტების დონეზე და განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

თბილისის ეკონომიკური უნივერსიტეტის სტუდენტები სწავლის პერიოდში სამხედრო სამსახურში არ გაიწვევიან.

მისაღები კონტიგენტი 150 კაცით განისაზღვრება. ის სტუდენტები, რომლებიც წარმატებით დაამთავრებენ უნივერსიტეტს, გარანტირებულნი იქნებიან სამსახურით. განცხადებები მიიღება 30 სექტემბრამდე. აბიტურიენტები გასაუბრებას გაივლიან: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, მსოფლიოს ისტორიაში, მათემატიკაში (სპეციალობის მიხედვით).

საბუთების შემოტანისას აბიტურიენტი იხდის 200 მანეთს, მომსახურეობისათვის. დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა; 11-დან 18-სთ-მდე. მისამართზე: თბილისი, გუდიაშვილის ქ. №9, II სართ. ოთახი № 6 (ეროვნული ბიბლიოთეკის გვერდით). საკონტაქტო ტელეფონები: 36—53—92, 93—58—83.



**აღარ არის**

# ზურიკო ფარადაშვილი

დადგა ჟამი ყოფნა-არყოფნისა. გაუჭირდა სამშობლოს. გაუჭირდა ქართველებ... იღვრება სისხლი, ილუპებიან პირტიტველა ბიჭები... სასუფეველში იმკვიდრებენ სამუდ... მო ბინას.

და მით უფრო სავალალოა ჩემთვის, ჩემი დამჭკნარი ხელებიდან დაფრთიანებულ... ვაუკაცის, პირტიტველა ბიჭის ზვარაკად შეწირული სიცოცხლე სამაჩაბლოში.

— სამაჩაბლოდან ციმა ნიავმა დაბერა... თბილისს სამწუხარო ამბავი მოვიდა — ... ალარ არის ზურიკო ფარადაშვილი — წვიმდა თბილისში, ჭროდა ქარი, ტოტები ერთ... ნეთს ეხეთქებოდნენ...

გვარდიელები კი თავდახრილნი უხმოდ იდგნენ...

ო, როგორ კვნესის, როგორ მეწურება გული ჩემო ვაუკაცო, ჩემო ჭკვან... დაბრძენებულო, ჩემი გულით გამთბარო. იძინე მშვიდად, რამეთუ შენს სახელს დ... წყება არ უწერია.

ბაგა-ბაღის ეზოში სიცოცხლე გაგრძელდება. ისევ ამწვანდება მდელო. კვირტ... ამოიყრის ნუში, ატამი, ალუბალი... ანკარა წყაროსავით მოწკრიალე ბავშვთა მხიარულ... ხმა შეუერთდება ჩიტების ყღორტულს. შენი სახელის უკვდავსაყოფად იზრუნ... საყვარელი აღმზრდელები...

მარად მწვანე კედარი, რომელიც თავმომწონედ დგას, როგორც ამ ეზო-გარემ... მესაიდუმლე — ამაყად მოუყვება ამ ეზოს ბინადართ პირტიტველა ბიჭის ამ... რომელმაც, სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებულმა, ქართული მიწისათვის თავი გაწ... და ბევრი აუხდენელი ლამაზი ოცნება თან გაიყოლა.

ნათელა ესართია...

პედაგო...



ინდექსი 66447

ფასი 5 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5 ტელ: რედაქტორი: 93-20-36, მოადგილის 93-18-41.
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულიზ 29.
შემოწსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი

ნოდარ

გრიგალაშვილი